საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე უმცირესობებით დასახლებული რეგიონების ინფორმირება

მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDADTION

ღია საზოგადოების ფონდი

საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე უმცირესობებით დასახლებული რეგიონების ინფორმირება

მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDADTION

ღია საზოგადოების ფონდი

ავტორები:
თამარ კინწურაშვილი
სოფო გელავა
ანა ჩიტალაძე

მონიტორინგი:
თამარ გაგნიაშვილი
ხატია ლომიძე
მარიამ ცხოვრებაშვილი
სოფო ჩხაიძე

მედია მონიტორინგისა და ფოკუს ჯგუფების სტატისტიკური მონაცემების დამუშავება:
მარიამ ცუცქირიძე

ავტორის/ავტორების მიერ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა, არ გამოხატავდეს „ღია საზოგადოების ფონდის“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

ISBN 978-9941-8-1066-4

შესავალი

კვლევის მიზანი იყო ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობის საკითხის შესწავლა.

ამ მიზნით მოხდა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების მცხოვრებთა ინფორმაციის ძირითადი წყაროების იდენტიფიცირება; მათზე დაყრდნობით იმ მედია გზავნილების შესწავლა, რომლებიც ანტიდასავლური განწყობების გაღვივებას უწყობს ხელს. ამავე დროს კვლევის საგანი იყო, თუ რამდენად ასრულებს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი კანონმდებლობით მასზე დაკისრებულ შინაარსობრივ ვალდებულებებს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხების შესახებ უმცირესობების ინფორმირების თაობაზე. კვლევის ფარგლებში მოხდა უმცირესობათა დამოკიდებულებების შესწავლა, როგორც ინფორმაციის წყაროების, ასევე მედია გზავნილებისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის გაშუქების მიმართ.

კვლევა შერეული მეთოდოლოგიით განხორციელდა და დოკუმენტების ანალიზს, მედიის კონტენტ ანალიზს და ფოკუს ჯგუფებს მოიცავდა.

მეთოდოლოგიის მიმოხილვის და მთავარი მიგნებების შემდეგ კვლევის I ნაწილი ინფორმაციის წყაროებს ეთმობა, II – რუსული ტელევიზიების გზავნილებს და საზოგადოების დამოკიდებულებებს ამ გზავნილების მიმართ, III ნაწილი – საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას და მედია გაშუქებას. ბოლო, დასკვნითი ნაწილი კი რეკომენდაციებს ეთმობა.

კვლევა „ღია საზოგადოების ფონდის“ მხარდაჭერილი პროექტის „ეთნიკური უმცირესობების ინფორმირება საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ“ ფარგლებში მომზადდა.

სარჩევი

	კვლევის მეთოდოლოგია	7
	მთავარი მიგნებები	10
I.	ინფორმაციის წყაროები	14
II.	რუსული ტელეარხების გზავნილები და საზოგადოების განწყობები	21
III.	საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაარსობრივი ვალდებულებები, გაშუქება და საზოგადოების განწყობები	40
IV.	რეკომენდაციები	52

დიაგრამები

დიაგრამა 1. ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო – პირველი წყარო (NDI, მარტი 2018) 15
დიაგრამა 2. ტელეარხების სანდოობა (NDI, მარტი 2018) 15
დიაგრამა 3. პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის ყურებადობა (NDI, მარტი 2018) 16
დიაგრამა 4. არაქართული სატელევიზიო არხების ყურებადობა (NDI, მარტი 2018) 16
დიაგრამა 5. არაქართული სატელევიზიო არხები – ინფორმაციის წყარო პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ (NDI, მარტი 2018) 17
დიაგრამა 6. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა ინფორმაციის წყაროები – ტრადიციული და სოციალური მედია 18
დიაგრამა 7. ტრადიციული და სოციალური მედიის სანდოობა 19
დიაგრამა 8. ანტიდასავლური გზავნილების თემატიკა რუსეთის პირველ არხსა და როსია 24-ზე (1 მაისი – 15 ნოემბერი, 2018) 21
დიაგრამა 9. ანტიდასავლური გზავნილების თემატიკა რუსეთის პირველ არხსა და როსია 24-ზე წყაროების მიხედვით 22
დიაგრამა 10. საზოგადოების განწყობები სირიის კონფლიქტში აშშ-ის და რუსეთის როლის მიმართ 29
დიაგრამა 11. ყალბი ინფორმაციის აღქმა და დამოკიდებულებები 34
დიაგრამა 12. რეალური ინფორმაციის აღქმა და დამოკიდებულებები 35
დიაგრამა 13. აშშ-სთან დაკავშირებული ყალბი ინფორმაციის აღქმა და დამოკიდებულებები ქალაქების მიხედვით 37
დიაგრამა 14. ევროკავშირთან დაკავშირებული ყალბი ინფორმაციის აღქმა და დამოკიდებულებები ქალაქების მიხედვით 38
დიაგრამა 15. თურქეთთან და NATO-სთან დაკავშირებული ყალბი ინფორმაციის აღქმა და დამოკიდებულებები ქალაქების მიხედვით 38
დიაგრამა 16. ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან და დასავლეთთან დაკავშირებული თემატიკა (1 არხი) 44
დიაგრამა 17. ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან და დასავლეთთან დაკავშირებული თემატიკის პირდაპირი და ირიბი გაშუქება (1 არხი) 44
დიაგრამა 18. საერთაშორისო სასამართლოებთან დაკავშირებული თემატიკა 45
დიაგრამა 19. ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან და დასავლეთთან დაკავშირებული თემატიკა საინფორმაციო და ანალიტიკურ გადაცემებში 45
დიაგრამა 20. ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან და დასავლეთთან დაკავშირებული თემატიკა თოქ-შოუებსა და წინასაარჩევნო დებატებში (1 არხი) 46
დიაგრამა 21. ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან და დასავლეთთან დაკავშირებული თემატიკის პირდაპირი გაშუქების ტონები (მოამბე, ახალი კვირა)
დიაგრამა 22. ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან და დასავლეთთან დაკავშირებული თემატიკის ირიბი გაშუქების ტონები (მოამბე, ახალი კვირა) 47
დიაგრამა 23. ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან და დასავლეთთან დაკავშირებული თემატიკის პირდაპირი გაშუქების ტონები (42 პარალელი) 47
დიაგრამა 24. ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან და დასავლეთთან დაკავშირებული თემატიკის ირიბი გაშუქების ტონები (42 პარალელი) 49
დიაგრამა 25. ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან და დასავლეთთან დაკავშირებული თემატიკის ირიბი გაშუქების ტონები (წინასაარჩევნო დებატები) 50
დიაგრამა 26. ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან და დასავლეთთან დაკავშირებული თემატიკის ირიბი გაშუქების ტონები (აქტუალური თემატიკა მაკა ცინცაძესთან ერთად) 51

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა შერეული მეთოდოლოგიით განხორციელდა და რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს მოიცავს. საკვლევი საკითხის შესასწავლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები:

- სამაგიდო კვლევა;
- მედია მონიტორინგი და კონტენტ-ანალიზი;
- ფოკუს ჯგუფები.

სამაგიდო კვლევა. სამაგიდო კვლევა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ადრე ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებს, კავკასიის ბარომეტრის მონაცემებს, სატელევიზიო რეიტინგის მზომავი კომპანიების TVMR საქართველოს და ტრიმედია ინტელიჯენსის TMI მეთოდოლოგიას, მაუწყებელთა შესახებ კანონმდებლობას, საზოგადოებრივი მაუწყებლის 2015-2016 და 2018-2021 წლების პროგრამულ პრიორიტეტებსა და შესრულების ანგარიშებს ეფუძნება.

მედია მონიტორინგი და კონტენტანალიზი. მედია მონიტორინგის სუბიექტებად რუსულენოვანი ტელეარხების (1 არხი და როსია 24) დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვებები და საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის 5 გადაცემა შეირჩა, რომელსაც წინასაარჩევნო პერიოდში საპრეზიდენტო კანდიდატების დებატები, ასევე 1 ახალი თოქ-შოუ (მოამბე – დღის თემა) დაემატა.

რუსული TV	საზოგადოებრივი მაუწყებლის 1 არხი
1 არხი – ვრემია, ორშ-კვირა, 22:00 სთ-ზე	მოამბე, ორშ-შაბათი, 21:00 სთ-ზე
როსია 24 – ვესტი, ორშ-კვირა, 20:00 სთ-ზე	ახალი კვირა, კვირა, 21:00სთ-ზე
	42 პარალელი, შაბათი, 21:30 სთ-ზე (არარეგულარული განრიგი[1])
	კვირის ინტერვიუ, ხუთშაბათი, 22:00 სთ-ზე
	აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად, პარასკევი, 22:00 სთ-ზე
	მოამბე – დღის თემა, ორშ-ოთხშაბათი, 22:00 სთ-ზე[2] წინასაარჩევნო დებატები, არარეგულარული განრიგით, 22:00 სთ-ზე[3]

[1] მაისში მხოლოდ 1 გადაცემა გავიდა, ივნისში გადაცემები მხოლოდ პირველი არხის ვებგვერდსა და Facebook-ის გვერდზე იყო ხელმისაწვდომი.
[2] 13 სექტემბრიდან
[3] 5 ნოემბრიდან

ყალბი ინფორმაციის გამოვლენის მიზნით კი, რუსული ტელეარხების გარდა, დაკვირვება 13 ქართულ მედია საშუალებაზე[4] ხდებოდა. გამოვლენილ დეზინფორმაციაზე დაკვირვება კი ფოკუს ჯგუფების ფორმატში განხორციელდა.

რუსულენოვანი არხები კავკასიის ბარომეტრის მონაცემთა ბაზიდან, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის – NDI-ის 2017 წლის დეკემბრის საზოგადოებრივი აზრის კვლევის მონაცემთა საფუძველზე შეირჩა, რომლის თანახმადაც, უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში რუსეთის პირველ არხს – 22%-იანი[5], ხოლო როსია 24-ს 7%[6]-იანი ნდობა ჰქონდათ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაში კი, რომელსაც კანონით ევალება, ერთი მხრივ, უმცირესობების ენებზე მაუწყებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირება, NDI-ის 2017 წლის დეკემბრის კვლევის თანახმად, შემდეგი მონაცემები გამოვლინდა: უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში პირველ არხს[7] ინფორმაციის მიღების სანდო წყაროდ 10% ასახელებდა, ხოლო მეორე არხს,[8] რომელზეც უმცირესობების ენებზე საინფორმაციო გადაცემები გადიოდა – 6%.

რუსული ტელეარხების შემთხვევაში, დაკვირვების საგანი ანტიდასავლური გზავნილები და თემატიკა იყო, ხოლო საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაში, ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებისათვის, დასავლური ინსტიტუტებისა და ქვეყნებისთვის დათმობილი დრო, თემატიკა, პირდაპირი და ირიბი გაშუქება, ასევე ტონალობა.

პირდაპირი/ირიბი გაშუქება:

- **პირდაპირი გაშუქება:** გაშუქება მთლიანად ევროატლანტიკური ინტეგრაციის, დასავლური ინსტიტუტებისა და ქვეყნების თემატიკას ეთმობა;
- **ირიბი გაშუქება:** როდესაც გაშუქება ძირითადად სხვა საკითხებს ეძღვნება და ზემოთმითითებული თემატიკა ირიბად არის ნახსენები სხვა საკითხებთან მიმართებით.

გაშუქების ტონი:

- **პოზიტიური:** გასაშუქებელი თემა პოზიტიურად არის წარმოდგენილი;
- **ნეიტრალური:** გაშუქება მხოლოდ ფაქტებს ეფუძნება, ყოველგვარი პოზიტიური და ნაგატიური კონოტაციის გარეშე;
- **ნეგატიური:** გასაშუქებელი თემა ნეგატიურად არის წარმოდგენილი, ბრალდებები და კრიტიკა ცალმხრივია და მთლიანად ნეგატიური კონოტაციის მატარებელი.

მედია მონიტორინგი 2018 წლის 1 მაისიდან – 15 ნოემბრამდე განხორციელდა.

ფოკუს ჯგუფები. მედია მონიტორინგის საფუძველზე ანტიდასავლური გზავნილები, ყალბი და რეალური ინფორმაცია შეირჩა, რომელთა მიმართ საზოგადოებრივი დამოკიდებულებების შესწავლა ფოკუს ჯგუფებში ღია და სტრუქტურირებული შეკითხვების მეშვეობით მოხდა. ფოკუს ჯგუფებში შესწავლის საგანი იყო

[4] გაზეთები – „ასავალ-დასავალი“, „ალია“, „კვირის პალიტრა“, „პრაიმ-ტაიმი“; ონლაინ გამოცემები – საქინფორმი, საქართველო და მსოფლიო, pia.ge; ტელევიზიები – იმედი, კავკასია, ობიექტივი, რუსთავი 2, მაესტრო, იბერია.
[5] https://caucasusbarometer.org/ge/nd2017ge/TRURCH1-by-ETHNOCODE/
[6] https://caucasusbarometer.org/ge/nd2017ge/TRURU24-by-ETHNOCODE/
[7] https://caucasusbarometer.org/ge/nd2017ge/TRUGPBR1-by-ETHNOCODE/
[8] https://caucasusbarometer.org/ge/nd2017ge/TRUGPBR2-by-ETHNOCODE/

ასევე მონაწილეთა ინფორმაციის წყაროები, მათი სანდოობა და დამოკიდებულებები საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემებისადმი. 8 ფოკუს ჯგუფი საქართველოს 4 ქალაქში (ახალქალაქი, ნინოწმინდა, მარნეული, ბოლნისი) 2 ასაკობრივ ჯგუფში (18-35 და 36-55) ჩატარდა. ფოკუს ჯგუფებში სულ 64 ადამიანი მონაწილეობდა. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა შერჩევა წინასწარ შედგენილი კითხვარის მიხედვით მოხდა, სადაც გათვალისწინებული იყო ასაკი, დასაქმების ცენზი, ასევე, ახალგაზრდების შემთხვევაში, სამოქალაქო აქტივიზმში მონაწილეობა. შეირჩა როგორც დასაქმებული, ასევე უმუშევარი რესპონდენტები, ხოლო, ახალგაზრდების შემთხვევაში, როგორც სამოქალაქო აქტივიზმში ჩართული ახალგაზრდები, ასევე ისეთებიც, ვისაც ასეთ აქტივობებში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღიათ.

მთავარი მიგნებები

კვლევის შედეგად შემდეგი ტენდენციები გამოვლინდა:

1. ინფორმაციის წყაროები

- უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების – სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის - მოსახლეობის სატელევიზიო მედია მოხმარების შესახებ ყოველდღიური ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის, რადგან სატელევიზიო აუდიტორიის გამზომი კომპანიების საკვლევ პანელში ეს რეგიონები არ შედის. შესაბამისად, სატელევიზიო რეიტინგებში არ აისახება იმ აუდიტორიის სპეციფიკა, რაც, სახელმწიფო ენის არცოდნის გამო, მეზობელი ქვეყნების საინფორმაციო გავლენებისადმი მათ განსაკუთრებით მოწყვლადს ხდის.
- საერთაშორისო ორგანიზაციების დაკვეთით ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის კვლევებში მონაცემები უმცირესობების შესახებ მეტწილად ერთიანად არის მოცემული, რაც ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში არსებულ მდგომარეობაზე განსხვავებული ტენდენციების იდენტიფიცირების შესაძლებლობას არ იძლევა.
- NDI-ის 2018 წლის მარტის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების თანახმად, უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ტელევიზიის (36%) და ინტერნეტის (10%), როგორც ინფორმაციის ძირითადი წყაროების, ხვედრითი წილი, დანარჩენ საქართველოსთან შედარებით, დაბალია, ხოლო არაფორმალური წყაროების – ჯამურად მაღალი (ოჯახის წევრები – 21%, მეზობლები, მეგობრები – 17%, თანამშრომლები – 3%).
- უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სატელევიზიო არხების მიმართ ნდობა საკმაოდ დაბალია (45% არცერთ არხს არ ენდობა), რაც იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ ნაციონალური დაფარვის არხები ნაკლებად ასახავენ რეგიონების პრობლემებს და ამ რეგიონების მოქალაქეები საკუთარ თავს შესაბამისს მედია კონტენტთან ვერ აიდენტიფიცირებენ.
- თუ მონიტორინგის დაწყების ეტაპზე, NDI-ის კვლევის თანახმად, უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში რუსეთის პირველ არხს – 22%-იანი, ხოლო როსია 24-ს 7%-იანი ნდობა ჰქონდათ, 2018 წლის გაზაფხულის გამოკითხვაში რუსეთის პირველ არხთან (21%) და Россия 24-თან (6%) ერთად, რაშა თუდეი (11%) და Россия 1 ფიგურირებენ.
- მიუხედავად იმისა, რომ ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა შორის რუსული სოციალური ქსელის „ოდნოკლასნიკების“ მომხმარებლები (61,5%) მეტად იყვნენ წარმოდგენილნი, ვიდრე ფეისბუკის (25,6) და ტრადიცი-

ული მედიის (12,9%), ყველაზე ნაკლებ სანდოდ რესპონდენტებმა სწორედ „ოდნოკლსნიკები“ (65%) დაასახელეს, ყველაზე სანდოდ კი თითქმის თანაბარი მონაცემებით – ტრადიციული მედია (35,7%) და ფეისბუკი (35,1%).

- ქართული მედია საშუალებებიდან ინფორმაციის მიღების შემაფერხებელ ფაქტორებად ნაწილობრივ – ენობრივი ბარიერი, ნაწილობრივ ხელმისაწვდომობის პრობლემა დასახელდა; რუსული მედიის მიმზიდველობის განმაპირობებელ ფაქტორად კი – გადმოცემის უკეთესი უნარი, რაც მიწოდებული შინაარსის სიყალბეს ნაკლებად პრობლემატურს ხდიდა.

2. რუსული ტელეარხები

- რუსეთის პირველი არხის და როსია 24-ის დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგმა აჩვენა, რომ გამოვლენილი ანტიდასავლური გზავნილიდან ყველაზე მეტი აშშ-ს და სირიაში აშშ-ს მეთაურობით მოქმედი კოალიციის წინააღმდეგ იყო მიმართული (46,4%), რასაც თითქმის თანაბრად დიდი ბრიტანეთი (9,8%) და ევროკავშირი (9,1%) მოსდევენ.
- ამერიკის წინააღმდეგ გაკეთებული კომენტარები ძირითადად შეერთებული შტატების და სირიის კონფლიქტში ამერიკის მეთაურობით მოქმედი კოალიციის, როგორც ძალადობის და ტერორიზმის მაპროვოცირებელი ძალის იმიჯის წარმოჩენას ახდენდა. ფოკუს ჯგუფებში გამოვლინდა კორელაცია რუსული ტელეარხების დეზინფორმაციულ გზავნილებსა და რესპონდენტთა დამოკიდებულებებს შორის, რომელთა თანახმად, ე.წ. ისლამური სახელმწიფო ამერიკიდან იღებს სათავეს, ხოლო რუსეთი რეალურად ებრძვის ტერორიზმს.
- დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ გზავნილები ძირითადად სკრიპალების მოწამვლის საქმეს უკავშირდებოდა, რა დროსაც კონტრბრალდებების (whataboutism) წამოყენება და რუსეთის პასუხისმგებლობიდან აქცენტის სხვა აქტორებზე, მათ შორის ბრიტანეთზე, გადატანა ხდებოდა.
- იმისდა მიუხედავად, რომ ფოკუს ჯგუფებში სკრიპალების საქმეში რუსეთის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით აზრი ორად გაიყო, რესპონდენტთა უმრავლესობა რუსეთს უფრო სახიფათო ქვეყნად მიიჩნევდა, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებს.
- ევროკავშირთან დაკავშირებით მთავარი გზავნილები მიგრაციის კრიზისს უკავშირდებოდა, რა დროსაც არა მხოლოდ ევროკავშირის ლიბერალური პოლიტიკის დემონიზება, არამედ ქსენოფობიური კონტექსტის შექმნა და მიგრანტების კრიმინალებად და ტერორისტებად წარმოჩენა ხდებოდა.
- ბიოდივერსიის შესახებ გაშუქება ძირითადად თბილისში მოქმედ რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევით ცენტრს უკავშირდებოდა. მკვიდრდებოდა მოსაზრება, რომ აქ ადამიანებზე სასიკვდილო ექპერიმენტებს ატარებენ და ბიოლოგიურ იარაღს ცდიან, ლაბორატორიის საქმიანობა კი რუსეთის წინააღმდეგ მიმართულად იყო შეფასებული.
- უკრაინასთან მიმართებით ნეგატიური გაშუქება ძირითადად მსოფლიო საპატრიარქოს მიერ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას, ასევე ყირიმის ანექსიასა და 2014 წლის მაიდნის მოვლენებს შეეხებოდა.
- იდენტობის დაკარგვისა და დასავლეთიდან თავსმოხვეული მიუღებელი ღირებულებების გზავნილების გარდა, რამდენიმე შემთხვევაში სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება ჰომოფობიურ კონტექსტში ხდებოდა.

- ამერიკელ ფილანტროპ და ფონდ „ღია საზოგადოების“ დამფუძნებელ ჯორჯ სოროსთან დაკავშირებული კომენტარები ამკვიდრებდა მოსაზრებას, რომ სოროსი მსოფლიოში ხავერდოვანი რევოლუციების ინსპირატორია და სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში ერევა.
- ყალბი ინფორმაციის ნუსხიდან ყველაზე დამაჯერებელი ფოკუს ჯგუფების მონაწილეებისთვის ის დეზინფორმაცია აღმოჩნდა, რომლის თანახმად, ამერიკა ახლო აღმოსავლეთში ტერორისტებს უჭერს მხარს, რათა ნავთობის რესურსები მოიპოვოს (79,7%), რაც კორელაციაშია რუსული ტელევიზიების ნარატივთან, რომელიც ამერიკის აგრესიულ პოლიტიკასა და ტერორიზმთან კავშირზე ამახვილებს ყურადღებას.
- რეალური ფაქტებიდან კი ყველაზე ნაკლებ დამაჯერებელი ეთნიკური აზერბაიჯანელებისთვის ის ინფორმაცია აღმოჩნდა, რომელიც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში მათი რელიგიური უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს (სიმართლე – 50%; ტყუილი – 50%) და ჯორჯ სოროსის დაფინანსებით მუსლიმთა კულტურული და რელიგიური თვითმყოფადობის ძეგლების დაცვას (სიმართლე – 46,9%; ტყუილი – 53,1%) შეეხება.

3. საზოგადოებრივი მაუწყებელი

- საზოგადოებრივი მაუწყებლის 2018-2021 წლის პროგრამული პრიორიტეტები კანონმდებლობით განსაზღვრულ შინაარსობრივ ვალდებულებებს ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების, ინფომირების თაობაზე ასახავს, თუმცა, კვარტალური ანგარიშები არ შეიცავს ინფორმაციას, თუ რა კრიტერიუმებით ფასდება და როგორ სრულდება აღნიშნული შინაარსობრივი ვალდებულებები.
- იმის გათვალისწინებით, რომ მაუწყებელს არ აქვს სატელევიზიო რეიტინგების მონაცემები არც რეგიონულ, არც ეთნიკურ ჭრილში, აუდიტორიის ქცევის რეგულარული ანალიზი და შეფასება, თუ რამდენად მიუწვდებათ უმცირესობებს ხელი მათთვის განკუთვნილ გადაცემებზე და როგორია ამ გადაცემების რეიტინგი აღნიშულ რეგიონებში, ვერ ხორციელდება.
- რთული იყო იმის დადგენა, თუ რა რეგულარობით გადიოდა უმცირესობების ინფორმირების მიზნით (განსაკუთრებით ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე), მათთვის გასაგებ ენებზე მომზადებული საინფორმაციო გადაცემები და სხვა პროგრამები. ეს ყოველივე ეთნიკური უმცირესობების ინფორმირების არათანმიმდევრულ პოლიტიკაზე მიანიშნებს.
- აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოვლინდა: ნაწილი მაუწყებლის გადაცემებს ტექნიკური პრობლემების გამო, ნაწილი კი ენობრივი ბარიერის გამო ვერ ადევნებდა თვალს, ნაწილის აზრით კი, უმცირესობების ენებზე გადაცემები მხოლოდ ქართულიდან თარგმანს წარმოადგენდა და ადგილობრივები მედია კონტენტში საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ვერ ახდენდნენ.
- საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო და ანალიტიკური გადაცემების მონიტორინგმა აჩვენა, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაციის თემატიკა აქტიურად და მეტწილად ნეიტრალურად ან პოზიტიურად შუქდებოდა. გამონაკლისი იყო საერთაშორისო საკითხებზე ანალიტიკური გადაცემა „42 პარალელი“, რომელიც დასავლეთის ქვეყნების და ინსტიტუტების გაშუქების მკვეთრად ნეგატიური ტონით გამოირჩეოდა. გადაცემის სარედაქციო პოლიტიკა ძირითადად ნეოლიბერალური ეკონომიკის მიმართ იდეოლოგიურ მიუღებლობას ეფუძნებოდა, რაც პოლიტიკური პროცესების შეფასებისას ავტორთა პოზიციას განსაზღვ-

რავდა. ამასთანავე, უშუალოდ მონიტორინგის წინა პერიოდში გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც „42 პარალელის“ სარედაქციო პოზიცია სკრიპალების მოწამვლისა და სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების გამო დასავლეთის მიერ რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებთან მიმართებით თანხვედრაში იყო ქართული კრემლისტური პოლიტიკური პარტიის – „პატრიოტთა ალიანსის“, რუსეთის ხელისუფლებისა და მედია საშუალებების პოზიციებთან.

I. ინფორმაციის წყაროები

კვლევითი რესურსები. უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების – სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის – მოსახლეობის ყოველდღიური მედია მოხმარების შესახებ სრულფასოვანი ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის. სატელევიზიო აუდიტორიის გამზომავი 2 კომპანიის[9] მიერ შერჩეულ 7 ქალაქში[10] სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის არცერთი ქალაქი არ შედის. შესაბამისად, ფიფლმეტრები, რომლებიც სატელევიზიო აუდოტორიის გაზომვის საუკეთესო ტექნოლოგიაა, ამ რეგიონების სპეციფიკას ვერ ასახავს, რაც სახელმწიფო ენის არცოდნის გამო, უმცირესობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებს მეზობელი სახელმწიფოების საინფორმაციო არხებზე სხვებზე მეტად დამოკიდებულს ხდის. სწორედ ამიტომ, ინფორმაციის ერთდაერთი წყარო იმის შესახებ, თუ რომელ მედია საშუალებებს ეყრდნობიან ამ რეგიონში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები, მხოლოდ პერიოდულად ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევებია.

უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოქალაქეთა ინფორმაციის წყაროების კვლევასთან დაკავშირებით 2 ტიპის პრობლემა იკვეთება:

1. ფიფლმეტრებისგან განსხვავებით, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა არ გვაძლევს ყოველდღიურ რაოდენობრივ მონაცემებს, თუ რა სიხშირით, რომელ არხებს და გადაცემებს უყურებენ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, სადაც ენობრივი ბარიერის გამო ტელეყურებადობის განსხვავებული მაჩვენებელია;
2. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის კვლევებში, რომლებიც უფრო სისტემატიურია, ვიდრე ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევითი ინიციატივები, მონაცემები უმცირესობების შესახებ ერთიანად არის მოცემული, რაც ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში არსებულ მდგომარეობაზე ერთიან სურათს ქმნის და განსხვავებული ტენდენციების იდენტიფიცირების შესაძლებლობას არ იძლევა.

საერთო მონაცემები. ინფორმაციის მიღების წყაროები უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საკმაოდ მრავალფეროვანია. კავკასიის ბარომეტრის მონაცემთა ბაზის თანახმად,[11] რომელიც ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის NDI-ის 2018 წლის მარტის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს[12] ასახავს, უმცირესობათა დასახლებებში, ქართულენოვან დასახლებებთან შედარებით, ტელევიზიის (36%) და ინტერნეტის (10%), როგორც ინფორმაციის ძირითადი წყაროების ხვედრითი წილი, დაბალია, ხოლო არაფორმალური წყაროების ხვედრითი წილი – ჯამურად მაღალი (სულ 41%: ოჯახის წევრები – 21%, მეზობლები, მეგობრები – 17%, თანამშრომლები – 3%).

---

9 TMI ტრიმედია ინტელიჯენსი https://www.tmi.ge/ka/basic-research TVMR საქართველო http://www.tvmr.ge/ka#!ka/tam_panel

10 თბილისი, რუსთავი, გორი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი და ზუგდიდი.

11 https://caucasusbarometer.org/ge/nm2018ge/FRWRCO-by-ETHNOCODE/

12 NDI, CRRC, მარტი, 2018. საზოგადოების განწყობა საქართველოში https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_March_2018_Public%20Presentation_Georgian_final%20%281%29.pdf

დიაგრამა 1. ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო – პირველი წყარო (NDI, მარტი 2018)



საკმაოდ მაღალია უნდობლობა სატელევიზიო არხების მიმართ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, სადაც გამოკითხულთა 45% არცერთ არხს არ ენდობა, ხოლო საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის (9%), „რუსთავი 2“-ის (8%) და „იმედის“ (7%) სანდოობა, მცირედი სხვაობით, თითქმის თანაბარია. რუსული მედია საშუალებები გაერთიანებულია კატეგორიაში „სხვა“, სადაც 11 ტელეარხი[13] მოხვდა და სანდოობის მაჩვენებელი მხოლოდ 9%-ია. საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-2 არხი, რომელიც უმცირესობების ენებზე საინფორმაციო პროგრამებს გადასცემს, 2018 წლის კვლევაში საერთოდ არ ფიგურირებს.

დიაგრამა 2. ტელეარხების სანდოობა (NDI, მარტი 2018)



2018 წლის დეკემბრის კვლევის მონაცემების თანახმად, საზოგადოებრივ მაუწყებელს უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში 16% უყურებს.

[13] „ჯი-დი-ესი“, „რუსეთის პირველი არხი/ო-ერ-ტე“, „ევრონიუსი“, „კავკასია“, „ბი-ბი-სი უორლდ ნიუსი’, ‘სი-ენ-ენი“, „აჭარა TV“, „ერ-ტე-ერი“, „მაესტრო“, „რასია 24“ და „რასია 1“. https://caucasusbarometer.org/ge/nm2018ge/TRUMTVINFO-by-ETHNOCODE/

დიაგრამა 3. პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის ყურებადობა (NDI, მარტი 2018)



კროსტაბულაცია (%)	დიახ	არა	არ ვიცი/უარი პასუხზე
ქართული დასახლებები	36	63	1
უმცირესობათა დასახლებები	16	81	4

NDI-ის 2018 წლის მარტის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები ასევე აჩვენებს, რომ მოსახლეობის 18%-დან, ვინც პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას არაქართული სატელევიზიო არხებიდან იღებს, ყველაზე დიდი წილი (34%) რუსეთის პირველ არხზე მოდის, რასაც რუსული RT (19%) და Россия 1 (13%) მოსდევს.

დიაგრამა 4. არაქართული სატელევიზიო არხების ყურებადობა (NDI, მარტი 2018)



„სხვა“ მოიცავს რესპონდენტების მიერ დასახელებულ სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ არხებს

კავკასიის ბარომეტრის მონაცემთა ბაზების თანახმად[14], უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არაქართულენოვანი ტელევიზიებიდან ინფორმაციას პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ ყველაზე მეტად რუსეთის პირველი არხიდან (21%), Russia Today-დან (11%), Россия1-დან (9%) და Россия 24-დან (6%) იღებენ.

დიაგრამა 5. არაქართული სატელევიზიო არხები – ინფორმაციის წყარო პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ (NDI, მარტი 2018)



[14] https://caucasusbarometer.org/ge/nm2018ge/FRWRCO-by-ETHNOCODE/



საზოგადოების დამოკიდებულებები ინფორმაციის წყაროების მიმართ: ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა შეავსეს ანკეტები, რომელშიც უნდა მიეთითებინათ, ტრადიციული მედიიდან (გაზეთები, ტვ, რადიო) იღებდნენ ინფორმაციას თუ სოციალურიდან. როგორც დიაგრამა 6-იდან ჩანს, რუსული სოციალური ქსელის „ოდნოკლასნიკების“ მომხმარებლები (61,5%) ფოკუს ჯგუფებში მეტად იყვნენ წარმოდგენილნი, ვიდრე ფეისბუკის (25,6) და ტრადიციული მედია საშუალებების (12,9%).

დიაგრამა 6. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა ინფორმაციის წყაროები – ტრადიციული და სოციალური მედია



ამავე დროს, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს ვთხოვეთ, დასახელებული ინფორმაციის წყაროების სანდოობა 100%-იანი სკალით შეეფასებინათ. როგორც ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ჩანს, ყველაზე ნაკლებად სანდო რესპონდენტებისთვის (65%) „ოდნოკლსნიკები“ აღმოჩნდა, ყველაზე სანდო კი, თითქმის თანაბარი მონაცემებით, ტრადიციული მედია საშულებები (35,7%) და ფეისბუკი (35,1%).

დიაგრამა 7. ტრადიციული და სოციალური მედიის სანდოობა



რესპონდენტებს, ასევე, ვთხოვეთ, დაესახელებინათ ის კონკრეტული მედიები, საიდანაც ისინი მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციას ეცნობიან. მათ ინფორმაციის წყაროებად ქართულენოვანი, რუსულენოვანი, სომხურენოვანი, აზერბაჯანული და თურქულენოვანი, ასევე დასავლური მედიები დაასახელეს.

ქართული მედია	რუსული მედია	სომხური / თურქული / აზერბაიჯანული მედია	დასავლური მედია
ქართული TV (4)	**რუსული TV (10)**	**სომხური TV (3)**	**ინგლისური TV (2)**
რუსთავი 2 იმედი იბერია მარნეული TV	Россия 24 РТР НТВ ОРТ МИР РТВ Пятница TV Дождь ТНТ Матч ТВ	სომხეთის პირველი არხი Armenia TV Shant TV	BBC CNN
რადიო (2)	**ონლაინ მედია (4)**	**აზერბაიჯანული TV (2)**	
რადიო „ნორი“ რადიო „მარნეული“	РИА Новости РЕГНУМ Sputnik News.mail.ru	ATV Dunyatv.az	
ონლაინ მედია (7)		**თურქული TV (1)**	
სამხრეთის კარიბჭე IPN Apsny.ge Jnews ჩაიხანა ბიზნეს მედია საქართველო ინტერნიუსი		TRT	
ბეჭდვითი მედია (1)			
საქართველო-გურჯისტან			

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, ოთხივე ქალაქში რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად რუსული ტელევიზია დაასახელეს. მონაწილეთა ნაწილმა ეს სახელმწიფო ენის არცოდნით ახსნა (**ქალი, ახალქალაქი, 18-35:** *„ქართული ენა რომ გვესმოდეს, მაშინ ალბათ ქართულ არხებსაც ვნახავდით“*), ნაწილისთვის კი რუსული მედიის გადმოცემის უკეთესი უნარი და შესაძლებლობები გახდა მიმზიდველი, იმისდა მიუხედავად, სიმართლეს გადმოსცემენ ისინი თუ არა (**კაცი, მარნეული, 36-55:** *„რუსები უკეთ გადმოსცემენ ინფორმაციას. შეიძლება იტყუებიან, მაგრამ...“*). ამასთანავე მარნეულის ფოკუს ჯგუფში აღინიშნა, რომ მარნეულის სოფლებში მოსახლეობა აზერბაიჯანულ ტელეარხებს უფრო უყურებს, რადგან რუსულის ცოდნა უფრო ურბანულ დასახლებებშია შემორჩენილი:

> **ქალი, მარნეული, 36-55:** *„ქალაქში მცხოვრებლებს შემოგვრჩა უფრო რუსული ენა. თუ სოფლებში გახვალთ, ისინი რუსულენოვან არხებს არ უყურებენ. ისინი უყურებენ აზერბაიჯანულენოვან არხებს“.*

გაცილებით დივერსიფიცირებული ინფორმაციის წყაროები დაასახელეს ახალგაზრდული ჯგუფების წარმომადგენლებმა, როგორც ენობრივი თვალსაზრისით, ასევე სხვადასხვა პლატფორმების მხრივაც.

> **ქალი (მარნეული) 18-35:** *„ინფორმაციის მისაღებად ვუყურებ რუსულ არხებს, ქართულ არხებს, ამერიკულ არხებს, ყველაფერს, იმიტომ, რომ ჩემი სფეროა და მინდა ვიცოდე, რა ხდება“.*

> **კაცი (გარდაბანი) 18-35:** *„მე ტელეფონში მაქვს აპლიკაცია, პროგრამა. ნახეთ, ნოვოსწი... არა მხოლოდ რუსული... აქ არის სიახლეები, შედიხართ და ყველა ინფორმაცია ეგრევე გამოდის. სი ენ ენის, ბიბისის, ანუ ეს რენდომია. უბრალოდ რუსულად ვკითხულობ“.*

II. რუსული ტელეარხების გზავნილები და საზოგადოების განწყობები

ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები. ორი რუსული არხის – რუსეთის პირველი არხი და როსია 24 (Россия 24) – დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში, მონიტორინგის პერიოდში (1 მაისი – 15 ნოემბერი, 2018) გასული 407 ანტიდასავლური გზავნილიდან ყველაზე მეტი აშშ-ს და სირიაში აშშ-ს მეთაურობით მოქმედი კოალიციის[15] წინააღმდეგ იყო მიმართული (46,4%), რასაც, თითქმის თანაბრად, დიდი ბრიტანეთი (9,8%) და ევროკავშირი (9,1%) მოსდევენ. შემდეგ ადგილებზეა ბიოდივერსიის საფრთხე (8,1%), გზავილები, რომლებიც დასავლეთთან მიმართებით რუსეთის უპირატესობის და ძლიერების წარმოჩენას ახდენდა (6,6%), უკრაინაში განვითარებული მოვლენები (6,6%), ზოგადად დასავლეთი (5,4%), იდენტობის დაკარგვის საფრთხე (3,7%), ჯორჯ სოროსი (2%) და ნატო (1,2%), ასევე ისტორიის რევიზიის შემთხვევები (1%).

დიაგრამა 8. ანტიდასავლური გზავნილების თემატიკა
რუსეთის პირველ არხსა და როსია 24-ზე (1 მაისი – 15 ნოემბერი, 2018)



როგორც დიაგრამა 2-დან ჩანს, ანტიდასავლური გზავნილების წყარო ორივე არხზე უფრო ხშირად თავად მედია იყო, ვიდრე რესპონდენტები.

[15] აშშ, ბრიტანეთი, კანადა, თურქეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, დანია.

დიაგრამა 9. ანტიდასავლური გზავნილების თემატიკა რუსეთის პირველ არხსა და როსია 24-ზე, წყაროების მიხედვით



გზავნილების თემატიკა და ტიპოლოგია

აშშ/კოალიცია. ამერიკის წინააღმდეგ გაკეთებული სარედაქციო და რესპონტენტთა კომენტარები (88) ძირათადად შეერთებული შტატების და სირიის კონფლიქტში ამერიკის მეთაურობით მოქმედი კოალიციის, როგორც ძალადობის და ტერორიზმის მაპროვოცირებელი ძალის იმიჯის წარმოჩენას ახდენდა, რა დროსაც აქცენტი სირიაში მიმდინარე მოვლენებზე კეთდებოდა. ორივე მედია შემდეგ მოსაზრებებს ამკვიდრებდა:

- **აშშ/კოალიცია აშშ-ს მეთაურობით ძალადობას, კონფლიქტებს, ტერორიზმს ახალისებს:** „ზუსტად 7 წლის წინ, 2011-ის სექტემბერში, აშშ-ს მხარდაჭერილი დასავლური კოალიცია, საფრანგეთისა და ინგლისის ძალებით, ბოლოს უღებდა ლიბიის სოციალისტურ სახალხო არაბულ ჯამაჰირიას – აყვავებულ ქვეყანას... ქვეყნის მნიშვნელოვანი ტერიტორია სასეირნო მინდორია „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტებისთვის, „ალ-ქაიდას“ ნარჩენი დაჯგუფებებისთვის და უბრალოდ, ყოველგვარი კრიმინალისთვის“[16]. „სირიის ოპოზიციის ცნებას აშშ იმდენად ფართო ინტერპრეტაციას აძლევდა, რომ ზოგჯერ წმინდად ტერორისტული ორგანიზაციების მხარდაჭერასაც კი არ თაკილობდნენ“.[17]
- **ქიმიური თავდასხმა სირიაში ბაშარ-ალ-ასადის რეჟიმის პასუხისმგებლობა კი არა, აშშ-ს და კოალიციის პროვოკაციაა, რათა მათ შემდგომი სამხედრო ესკალაციის საბაბი მიეცეთ:** „იდლიბი ბოევიკების უკანასკნელი მსხვილი ბასტიონი და ის ადგილია, სადაც, ჩვენი სამხედროების მონაცემებით, მზადდება პროვოკაცია ქიმიური იარაღის გამოყენებით, რომელიც ამერიკისა და მისი მოკავშირეებისთვის უნდა იქცეს სირიაზე ახალი დარტყმის საბაბად[18].“
- **აშშ სირიაში ჰუმანიტარულ დახმარებას აფერხებს:** „ერ-რუკბანის ლტოლვილთა ბანაკი თითქმის უბედურების ზონაა, 60 ათასი მშვიდობიანი მოსახლე უმძიმეს პირობებში, ტერორისტების გვერდით ცხოვრობს. ამერიკელები თავს იკატუნებენ, რომ ვერაფერს ამჩნევენ და არ ჩქარობენ განადგურებულის აღდგენას“[19].

16 დიმიტრი კისილიოვი, წამყვანი, როსია 24, ვესტი ნედელი, 16 სექტემბერი. https://www.myvideo.ge/v/3672938
17 ოლეგ შიშკინი, კორესპონდენტი, 1 კანალ, ვრემია, 17 ივლისი. https://www.1tv.ru/news/issue/2018-07-17/21:00#5
18 ვიტალი ელისეევი, წამყვანი, 1 კანალ, ვრემია, 29 აგვისტო. https://www.1tv.ru/news/issue/2018-08-29/21:00#6
19 ანდრეი უხარევი, წამყვანი, 1 კანალ, ვოსკრესნოე ვრემია, 5 აგვისტო. https://www.1tv.ru/news/issue/2018-08-05/21:00#7

- **აშშ არასანდო პარტნიორია:** „შეთანხმება აშშ-სთან არ ღირს. ვაშინგტონს შეთანხმების უნარი არ აქვს. როგორც ჩანს, ტრამპმა იცის, რას აკეთებს[20]“.
- **ამერიკა ახალისებს გადატრიალებებს, ერევა სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში:** „განსაკუთრებით აქტიური იყო [საერთაშორისო რესპუბლიკური] ინსტიტუტი ეგვიპტესა და ტუნისში, სადაც „არაბულ გაზაფხულს“ ჰქონდა ადგილი, ასევე რუსეთის მეზობელ ქვეყნებში, მაგალითად საქართველოში, სადაც „ვარდების რევოლუცია“ მოხდა[21]“.
- **ამერიკა ენერგეტიკული ინტერესების გამო ვითარებას ძაბავს:** „ყველაფერი ძალიან გავს იმას, რომ ტრამპი ირანის ირგვლივ იმიტომ ძაბავს სიტუაციას, რომ გარანტირებულად დაიჭიროს ნავთობის ფასი ბარელზე 80 დოლარის ზემოთ ნიშნულზე. ასეთი ფასების პირობებში რენტაბელური ხდება ამერიკაში ფიქალის ნავთობის მოპოვება, მოპოვება ტრამპის მეგობარი ამერიკელი მეწარმეების მიერ[22].“

დიდი ბრიტანეთი. დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ ძირითადად 3 გზავნილი გამოიკვეთა (40): პირველი სკრიპალების მოწამვლის საქმეს[23] უკავშირდებოდა; მეორეს თანახმად, ბრიტანული სპეცსამსახურები ადამიანებს ფიზიკურად ანადგურებენ; მესამეს თანახმად, ლონდონი ფულის გათეთრების ქალაქია.

სკრიპალების საქმესთან დაკავშირებით კონტრბრალდებების (whataboutism) წამოყენება და რუსეთის პასუხისმგებლობიდან სხვა აქტორებზე აქცენტის გადატანა ხდებოდა:

- **სკრიპალების მოწამვლა ბრიტანეთის ინტერესებში შედიოდა/რუსეთის წინააღმდეგ დაგეგმილი პროვოკაციაა:** „ახლა რისი მიღწევა სურთ ბრიტანელებს, ძნელი მისახვედრი არ არის. საკმარისია გავიხსენოთ, რომ სკრიპალების მოწამვლიდან ერთ თვეში განხორციელდა დადგმული ქიმიური შეტევა სირიის დუმაში, მერე კი აშშ-მ რაკეტებით დაარტყა სირიას[24]“. „მცდელობამ, საკუთარი [ტერეზა მეის] შიდა წარუმატებლობა სკანდალით და სკრიპალების საქმით გადაეფარა, არ გაამართლა.[25]“
- **სკრიპალების მოწამვლა პორტენ-დაუნის ლაბორატორიიდან განხორციელდა:** „გაცილებით იოლია ეძებო მოსკოვის მითიური ხელი, ვიდრე ახსნა, რატომ ხდება უცნაური მოწამვლის ფაქტები პორტენ-დაუნის იმ ზესაიდუმლო ქიმიური ლაბორატორიის სიახლოვეს, რომლის ექსპერტებმაც ამოიცნეს ნივთიერება, რომელსაც „ნოვიჩოკს“ უწოდებენ. ეს კი ნიშნავს, რომ მისი ნიმუშები აქვთ[26].“
- **არ არსებობს მტკიცებულება, რომ სკრიპალები რუსეთმა მოწამლა:** „...არავითარი ვერსია, რომლითაც შეიძლებოდა სკრიპალების საქმესთან რუსეთის რეალურად დაკავშირება, მათ არ ჰქონიათ და არც აქვთ[27].“
- **სკრიპალები ნოვიჩოკით რომ მოეწამლათ, ისინი ვერ გადარჩებოდნენ:** „არ ვარ საბრძოლო მომწამლავი ნივთიერებების სპეციალისტი, მაგრამ, როგორც წარმომიდგენია, საბრძოლო მომწამლავი ნივთიერების გამოყენების შემთხვევაში, ამ თავდასხმის მსხვერპლი ადგილზევე იღუპება, პრაქტიკულად, დაუყოვნებლივ[28].“
- **ნოვიჩოკს სხვა ქვეყნებიც აწარმოებენ:** „მისი ფორმულა იციან არა მარტო რუსეთში, არამედ მთელს ევროპაში და ამასთან, უკვე დიდი ხანია. რჩება კითხვა – ვის აწყობდა მოეწამლა სკრიპალები სწორედ ამ დროს?[29]“

---

20 ერნესტ მაცკევიჩუსი, წამყვანი, როსია 24, ვესტი 20.00, 8 მაისი https://www.myvideo.ge/v/3589375

21 ალექსანდრ ხრისტენკო, კორესპონდენტი, როსია 24, ვესტი, 26 აგვისტო https://www.myvideo.ge/v/3658439

22 სერგეი ბრილოვი, წამყვანი, როსია 24, ვესტი ვ სუბოტუ, 2 ივნისი. https://www.myvideo.ge/v/3608652

23 2018 წლის 4 მარტს, დიდი ბრიტანეთის ქალაქ სოლსბერიში ყოფილი რუსი ჯაშუში, სერგეი სკრიპალი და მისი ქალიშვილი რუსული ქიმიური იარაღით „ნოვიჩოკით“ მოწამლეს.

24 მიხაილ აკინჩენკო, კორესპონდენტი, 1 კანალ, ვრემია, 5 სექტემბერი https://www.1tv.ru/news/issue/2018-09-05/21:00#2

25 ევგენი რაჟკოვი, წამყვანი, როსია 24, ვესტი 20.00, 3 მაისი. https://www.myvideo.ge/v/3584215

26 გრეგორი ემელიანოვი, კორესპონდენტი, 1 კანალ, ვრემია, 4 ივლისი https://www.1tv.ru/news/issue/2018-07-04/21:00#11

27 ნიკოლაი პლატოშკინი, მოსკოვის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის კათედრის გამგე, 1 კანალ, ვრემია, 4 მაისი. https://www.1tv.ru/news/issue/2018-05-04/21:00#1

28 ვლადიმირ პუტინი, რუსეთის პრეზიდენტი, როსია 24, ვესტი, 25 მაისი https://www.myvideo.ge/v/3603596

29 ეკატერინა ანდრეევა, წამყვანი, 1 კანალ, ვრემია, 18 მაისი https://www.1tv.ru/news/issue/2018-05-18/21:00#11

ევროკავშირთან დაკავშირებული გზავნილები. ევროკავშირთან დაკავშირებით მთავარი გზავნილები მიგრაციის კრიზისს უკავშირდებოდა, რა დროსაც არა მხოლოდ ევროკავშირის ლიბერალური პოლიტიკის დემონიზება, არამედ ქსენოფობიური კონტექსტის შექმნა და მიგრანტების კრიმინალებად და ტერორისტებად წარმოჩენა ხდებოდა:

- **მიგრაციის კრიზისი ევროკავშირის პოლიტიკის შედეგია:** „სიტყვამ მოიტანა და, ეს ყველაფერი [დისკუსია საიმიგრაციო პოლიტიკაზე ევროკავშირის ქვეყნებს შორის] ევროკავშირის ჯერ კიდევ პირველი ფატალური შეცდომის შედეგია. მეორე – მიგრანტებისთვის კარის ფართოდ გაღებაა[30].“ „და მაინც, ტერორისტები შეიძლება აღმოჩნდნენ ლტოლვილებს შორის. შეიძლება ამ წვერებიანის შემთხვევაც გავიხსენოთ, ერთდროულად ორი ტერორისტული ორგანიზაციის – „ჯიჰად ისლამისა“ და „ალ ტაუჰიდის“ ფუნქციონერს. ოფიციალურად, 2022 წლამდე მას აკრძალული აქვს გერმანიის ტერიტორიაზე შესვლა, მაგრამ ის საზღვარზე გამოჩნდა და წარმოთქვა ჯადოსნური სიტყვა – ლტოლვილი[31]“.
- **ევროკავშირი კრიზისშია:** „ევროპის პროექტის კრიზისში პრესა და ლიბერალები... უფრო ხშირად ადანაშაულებენ არა საკუთარ თავსა და ევროკომისიას, არამედ მემარჯვენეებს. აი, მაგალითად, ორბანს. ეს იმ დროს, როცა მემარჯვენეების გაძლიერება მათი უსუსურობისა და შეცდომების შედეგია[32].“
- **უკრაინასთან ევროკავშირის უვიზო მიმოსვლა შრომითი ექსპლუატაციის ტოლფასია:** „უვიზო რეჟიმი უკრაინელებს ევროპაში ნამდვილი შრომითი ბანაკების სახით შემოუბრუნდა – შუამავლები ართმევენ დოკუმენტებს და უფასოდ მუშაობას აიძულებენ... ისინი კი, ვისაც არ სურს იაფ, უუფლებო სამუშაო ძალად იქცეს, რუსეთში მოემგზავრებიან[33]“.

ბიოდივერსია. ბიოდივერსიასთან დაკავშირებული გაშუქება ძირითადად რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევით ცენტრს უკავშირდებოდა, რომელიც საქართველოში ამერიკის მთავრობის მხარდაჭერით აშენდა და განვითარდა. აღნიშნული თემა რუსულ მედიაში 2012 წლიდან პერიოდულად შუქდება, თუმცა 2018 წლის სექტემბერში მისი გააქტიურება ქრონოლოგიურად ბრიტანეთის მთავრობის მიერ რუსეთის იმ 2 მოქალაქის იდენტიფიცირების ემთხვევა, რომელთაც 2018 წლის 4 მარტს სერგეი სკრიპალის და მისი ქალიშვილის იულია სკრიპალის „ნოვიჩოკით“ მოწამვლაში ედებათ ბრალი. როსია 24-ზე და რუსეთის 1 არხზე ლუგარის ლაბორატორიის თემის სექტემბრის თვეში კამპანიურად გაშუქება ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ის რუსეთის მიმართ სკრიპალების გამო წაყენებული ბრალდებების გადაფარვის მიზნით გააქტიურდა და ლუგარის ლაბორატორიის საფრთხედ წარმოჩენას ისახავდა მიზნად[34]. მონიტორინგის პერიოდში ლუგარის ბიო-ლაბორატორიასთან დაკავშირებით შემდეგი გზავნილები ვრცელდებოდა:

- **ლუგარის ლაბორატორიაში ადამიანებზე ექპერიმენტებს ატარებენ/ბიოლოგიურ იარაღს ამზადებენ:** „73 ადამიანის სიცოცხლე - ასეთია ფასი, რომელიც საქართველომ უკვე გადაიხადა საკუთარ მიწაზე ამერიკული ბიოლოგიური იარაღის გამოცდის გამო, უფრო სწორად იმისთვის, რომ თავისი მოქალაქეები გაიმეტა საშინელი ცდებისთვის. ამერიკული ფულით აშენებული, ამერიკელი სენატორის რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი სიკვდილის ფაბრიკა აღმოჩნდა[35]“. „თუ ოფიციალურ დოკუმენტებს დავუჯერებთ, ადამიანები დაიღუპნენ ანტივირუსული პრეპერატის გამოცდის შედეგად. მას

---

30 დმიტრი კისილიოვი, წამყვანი, როსია 24, ვესტი ნედელი, 24 ივნისი https://www.myvideo.ge/v/3622704

31 ივან ბლაგოი, კორესპონდენტი, 1 канал, ვრემია, 20 აგვისტო https://www.1tv.ru/news/issue/2018-08-20/21:00#8

32 მიხაელ ანტონოვი, კორესპონდენტი, როსია 24, ვესტი, 12 სექტემბერი. http://www.myvideo.ge/v/3669207

33 იგორ კოუევინი, წამყვანი, როსია 24, ბოლშიე ვესტი, 12 აგვისტო. https://www.myvideo.ge/v/3651926

34 მითების დეტექტორი, 27 სექტემბერი, 2018. როგორ ცდილობს კრემლი სკრიპალების საქმეში რუსული კვალის ლუგარის ლაბორატორიით გადაფარვას.
http://mythdetector.ge/ka/myth/rogor-tsdilobs-kremli-skripalebis-sakmeshi-rusuli-kvalis-lugaris-laboratoriit-gadaparvas

35 დმიტრი პეტროვი, კორესპონდენტი, როსია 24, ვესტი, 4 ოქტომბერი. https://www.myvideo.ge/v/3686520

ამზადებს კომპანია, რომლის აქციების მფლობელიცაა აშშ-ს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დონალდ რამსფელდი... ამერიკელები განსაკუთრებით არიან დაინტერესებულნი შავი ჭირის, ციმბირული წყლულის, დენგეს ციებ-ცხელების ატიპური ფორმებით და სხვა, სისხლისმწოველი მწერების საშუალებით გავრცელებადი დაავადებებით[36].“

- **აშშ ბიოლოგიური იარაღის წარმოებისთვის ექსპერიმენტებს სხვა ქვეყნების ლაბორატორიებშიც ატარებს:** „ბულგარელი ჟურნალისტი დილიანა გაიტანდჟიევა თავის სტატიაში ამტკიცებს, რომ ამერიკელი სამხედროები ასეთ სქემას [სხვა სახელმწიფოებში საიდუმლო სამხედრო ლაბორატორიების განთავსება] ბიოლოგიური იარაღის წარმოებაზე საერთაშორისო აკრძალვებისთვის გვერდის ასავლელად იყენებენ. და, თურმე, ასეთ სქემას პენტაგონი იყენებს 25 ქვეყანაში, მათ შორის, ყოფილი საბჭოთა კავშირის, რომელთა ხელისფლებები მათ მუშაობას ვერ აკონტროლებენ. და ეს უკვე 2 ათეული წელია გრძელდება[37]“.
- **ლუგარის ლაბორატორია რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული:** „პენტაგონი სწორედ აქედან [ლუგარის ლაბორატორიიდან] ავრცელებდა ჩვენს ქვეყანაში ღორის აფრიკულ შავ ჭირს[38].“
- **ბრიტანეთის ბიოლოგიური იარაღის ლაბორატორია საქართველოშია განთავსებული:** „საქართველოში ბოლო ხანებში კოღოები და სხვა სახის მწერები მომრავლდა. ბევრმა არ იცის, რომ ქობულეთში განთავსებულია დიდი ბრიტანეთის სამხედრო ბიოლაბორატორია და, ამასთან, ჩვენ ვიცით, რომ კოღოები ვირუსების გავრცელების საშუალებაა[39].“

რუსეთის უპირატესობის დემონსტრირება. როსია 24-ისა და რუსეთის 1 არხის სარედაქციო მასალები და რესპონდენტთა კომენტარები მუდმივად ახდენდნენ რუსეთის დასავლეთთან უპირატესობაზე ხაზგასმას, რაც სხვადასხვა თემებთან მიმართებაშიც ვლინდებოდა, თუმცა განსაკუთრებით სამხედრო ძლიერებისა და ტერორიზმთან ბრძოლაში კრემლის როლის გაშუქებისას. კერძოდ:

- **რუსეთის სამხედრო ძლიერება და როლი უსაფრთხოებაში უპირობოა:** „მათი [რუსი მეცნიერები, ინჟინრები] შრომითა და ნიჭით შექმნილმა იარაღმა და ტექნიკამ წლობით და შესაძლოა, ათწლეულებით გაასწრო უცხოურ ანალოგებს. ბევრი ძვირადღირებული, შეიძლება ითქვას, ძალიან ძვირადღირებული უცხოური სისტემები უპერსპექტივოებად და უკვე მორალურად მოძველებულად აქციეს[40]“. „თუ მიუნხენის შეთანხმების გაკვეთილებზე ვილაპარაკებთ, ყველაზე მთავარი, ალბათ, ის არის, რომ რუსეთის გარეშე ევროპაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეუძლებელია. ეს არ გამოვიდა მაშინ [მეორე მსოფლიო ომის დროს], არც ახლა გამოვა. მცდელობად არ ღირს[41].“
- **რუსეთი რეალურად ებრძვის ტერორიზმს:** „პრეზიდენტმა [პუტინმა] მოიყვანა კონკრეტული მაგალითი: [აშშ-ს] კოალიციის კონტროლირებად ტერიტორიაზე „ისლამურ სახელმწიფოს“ ასობით მძევალი ჰყავს, მათ შორის დასავლეთის ქვეყნების მოქალაქეები. ასეთია აშშ-ს ანტიტერორისტული საქმიანობის შედეგი მაშინ, როცა რუსეთი ექსტრემისტების წინააღმდეგ პრაქტიკულ ბრძოლას აგრძელებს[42].“

უკრაინასთან დაკავშირებული გზავნილები. უკრაინასთან მიმართებით ნეგატიური გაშუქება ძირითადად მსოფლიო საპატრიარქოს მიერ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღირებას, ასევე ყირიმის ანექსიასა და 2014 წლის მაიდნის მოვლენებს შეეხებოდა, რომელიც „ღირსების რევოლუციის“ სახელით არის ცნობილი:

---

36 ანატოლი ლაზარევი, კორესპონდენტი, 1 კანალ, ვრემია, 4 ოქტომბერი https://www.1tv.ru/news/issue/2018-10-04/21:00#3
37 პაველ პჩოლკინი, კორესპონდენტი, 1 კანალ, ვრემია, 11 სექტემბერი https://www.1tv.ru/news/issue/2018-09-11/21:00#4
38 იგორ კოჟევინი, წამყვანი, როსია 24, ვესტი, 4 ოქტომბერი https://www.myvideo.ge/v/3686520
39 ჯეფრი სილვერმანი, ექსპერტი, 1 კანალ, ვრემია, 14 სექტემბერი https://www.1tv.ru/news/issue/2018-09-14/21:00#6
40 ვლადიმირ პუტინი, რუსეთის პრეზიდენტი, 1 კანალ, ვრემია, 18 მაისი https://www.1tv.ru/news/issue/2018-05-18/21:00#6
41 დმიტრი კისილიოვი, წამყვანი, როსია 24, ვესტი ნედელი, 30 სექტემბერი. https://www.myvideo.ge/v/3682499
42 იგორ კოჟევინი, წამყვანი, როსია 24, ვესტი, 18 ოქტომბერი https://www.myvideo.ge/v/3694453

- **უკრაინაში განვითარებულ მოვლენებში დამნაშავე დასავლეთია:** „რატომ უწყობდა ხელს დასავლეთი უკრაინაში ძალადობრივ სახელმწიფო გადატრიალებს მაშინ, როცა კიევში ისედაც იყვნენ ლოიალური პოლიტიკოსები ტიმოშენკოს და იუშჩენკოს სახით.[43]“ „სიახლეებია ხმაურიან საქმეში, რომელშიც, სპეცსამსახურების ვერსიით, ამერიკული კვალი ჩანს. დონეცკის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელზე თავდასხმას რამდენიმე დივერსიული ჯგუფი ამზადებდა[44].“
- **უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია ამერიკული პროექტია:** „ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ ამ პოლიტიკური პროექტის [უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვება] დაწყებისას, პიოტრ პოროშენკომ ვაშინგტონელი კურატორების მხარდაჭერა დაიბევა[45].“ „ამერიკული თამაში აქ ხომ სრულად ჩანს. უკრაინა, როგორც პლაცდარმი რუსეთის წინააღმდეგ – ესაა აშშ-სთვის მოცემულობა[46].“
- **უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოს დისკრეცია არ არის:** „კანონიკური სამართლის თანახმად, ქურდების ელჩებს [კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიერ კიევში გაგზავნილი ორი ეგზარქოსი] ქურდული მეთოდით სურთ გადაწყვიტონ ქურდული საქმე[47].“
- **უკრაინის სახელმწიფოებრიობა გამოგონილია:** „1000 წლის წინ ბუნებაში არავითარი უკრაინა არ არსებობდა, სიტყვაც არ არსებობდა ასეთი... [პოროშენკოს მიმართავს] ღმერთმა მოგასწრებინოთ გადაკარგვა სადმე ვენასთან, სადაც წინის წინა საუკუნეში თქვენ და თქვენნაირები გამოგიგონეს, ავსტრო-უნგრული იმპერიის რუსეთის იმპერიასთან ბრძოლის ფარგლებში[48].“

დასავლეთთან დაკავშირებული გზავნილები. ცალკეულ დასავლურ ქვეყნებთან, ასევე ზოგადად, დასავლეთთან მიმართებით შემდეგი გზავნილები გამოიკვეთა:

- **დასავლეთი ახალისებს ძალადობას/კონფლიქტებს:** „რიტუალური ცეკვები აფრიკის ირგვლივ. რატომ დაეცნენ თავს დასავლელი ლიდერები შავ კონტინენტს?[49]“
- **დასავლეთი კრიზისშია:** „ეს [ლიბიის მოვლენები] თვალსაჩინო და ძალიან ტრაგიკული მაგალითია დასავლური ქვეყნების გეოპოლიტიკური მოდელირების ექსპერიმენტის აბსოლუტური ფიასკოსი[50].“
- **დასავლეთი ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს:** „და საერთოდ, არ მოგწყინდათ ეს დასავლეთის ორმაგი სტანდარტები?[51]“
- **დასავლეთი საფრთხეებს ხელოვნურად ქმნის:** „ექსპერტები აღნიშნავენ მთელ მსოფლიოში სასწაულებრივი მკვდრეთით აღდგომების მიმდევრობას: სირია, ლონდონი, ახლა კიევი. სცენარი ყველგან მსგავსია. შექმნა პრეცენდენტი, ააფორიაქო საზოგადოებრივი აზრი, და სასწრაფოდ, გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე, დანიშნო დამნაშავეები[52].“

იდენტობასთან დაკავშირებული გზავნილები. იდენტობის დაკარგვისა და დასავლეთიდან თავსმოხვეული მიუღებელი ღირებულებების გარდა, რამდენიმე შემთხვევაში როსია 24-ის წამყვანები გერმანიაში აშშ-ს ელჩის სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელ მითითებას ჰომოფობიურ კონტექსტში ახდენდნენ:

---

43 ტატიანა რემეზევა, კორესპონდენტი, როსია 24, ვესტი ვ სუბოტუ, 26 მაისი. https://www.myvideo.ge/v/3603830
44 ეკატერინა ანდრეევა, წამყვანი, 1 კანალ, ვრემია, 17 სექტემბერი https://www.1tv.ru/news/issue/2018-09-17/21:00#6
45 ოლეგ შიშკინი, კორესპონდენტი, 1 კანალ, ვრემია, 8 ოქტომბერი https://www.1tv.ru/news/issue/2018-10-08/21:00#6
46 დმიტრი კისილიოვი, წამყვანი, როსია 24, ვესტი ნედელი, 14 ოქტომბერი https://www.myvideo.ge/v/3693871
47 ვალენტინ ლუკიანიკი, ექსპერტი, როსია 24, ვესტი ნედელი, 30 სექტემბერი https://www.myvideo.ge/v/3682494
48 კირილ კლეიმიონოვი, წამყვანი, 1 კანალ, ვრემია, 7 ნოემბერი https://www.1tv.ru/news/issue/2018-11-07/21:00#7
49 როსია 24, ვესტი ნედელი, 2 სექტემბერი https://www.myvideo.ge/v/3663466
50 მარია ზახაროვა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, 1 კანალ, ვრემია, 13 სექტემბერი https://www.1tv.ru/news/issue/2018-09-13/21:00#12
51 დმიტრი კისილიოვი, წამყვანი, როსია 24, ვესტი ნედელი, 17 ივნისი https://www.myvideo.ge/v/3618535
52 ეკატერინა ანდრეევა, წამყვანი, 1 კანალ, ვრემია, 31 მაისი https://www.1tv.ru/news/issue/2018-05-31/21:00#11

- **დასავლეთი ებრძვის ტრადიციულ იდენტობას:** „თითქმის ყოველ კვირას მორიგი თინეიჯერი ამერიკული პერიფერიიდან სქესის შეცვლის შესახებ აცხადებს და კიდევ ერთხელ იწვევს სქესობრივი კუთვნილების შესახებ ბავშვებთან ოჯახური საუბრების მორიგი ტალღის აგორებას. ბევრი სპეციალისტი დარწმუნებულია, რომ სწორედ ასე გადაიქცა ოდესღაც ერთეულების ფსიქიკური გადახრა მასშტაბურ შეშლილობად... მოკლედ, იქნებ სულაც არ ღირს ნატოს გაფართოების შიში, მათ აქვთ გაცილებით საშიში რამ[53]." „საინტერესო ციფრებია – ნახევარი წლის წინ ამერიკულმა კვლევითმა ცენტრმა Pew-მ გამოაქვეყნა პროგნოზი, რომლის თანახმადაც, 50 წლისთვის [2050 წელი] მუსულმანთა წილი გერმანიაში, ბრიტანეთში, საფრანგეთსა და ავსტრიაში გაიზრდება 18-20 პროცენტამდე. ეს, თუ საიმიგრაციო პოლიტიკა უცვლელი დარჩება. თუ არაფერი შეიცვალა, შვედეთში, საუკუნის შუაში, 30 პროცენტი იქნება. თუ რუსეთში მუსულმანები ჩვენი, ისტორიულად მშობლიურები არიან, ევროპისთვის ისინი უცხო სხეული, საიდანღაც მოვლენილები არიან. ცხოვრობენ კარჩაკეტილად, თემებად, ეჭვს და შიშს იწვევენ[54]."
- **დასავლეთი ამკვიდრებს მიუღებელ ღირებულებებს:** „სამ ცდაში ვინ გამოიცნობს, რა იქცა დაბრკოლებად [ბრედ] კავანასთვის[55]? სწორია: ავთვისებიანი ფემინიზმის სენი... ავთვისებიანი ფემინიზმის დაავადება ამერიკიდან ევროპისკენ და რუსეთშიც მოემართება. ავთვისებიანი ფემინიზმისთვის კანონი არ კანონობს. მისით დაავადებული ქალბატონები წლების და ათწლეულების შემდეგაც კი თავისი სექსუალური ფანტაზიების პროეცირებას ცხოვრებაში და, საერთოდ, პროფესიულ ასპარეზზე შემდგარ მამაკაცებზე ახდენენ და გაუპატიურებაში ადანაშაულებენ[56]."
- **სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება:** „გერმანიაში ელჩები [რიჩარდ გრენოლი, ამერიკის ელჩი გერმანიაში] ასე არ უნდა მოიქცნენ, გეი ელჩებიც კი[57]."

ჯორჯ სოროსი. ამერიკელ ფილანტროპ და ფონდ „ღია საზოგადოების" დამფუძნებელ ჯორჯ სოროსთან დაკავშირებული რვავე კომენტარი ამკვიდრებდა მოსაზრებას, რომ სოროსი მსოფლიოში ხავერდოვანი რევოლუციების ინსპირატორია და სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში ერევა:

- „2000 წელს სერბეთში „ღია საზოგადოების" ორგანიზაციები სათავეში ედგნენ მილოშევიჩის ჩამოგდებას, 2003 წელს, საქართველოში – შევარდნაძის ჩამოგდებას, 2005-ში – გადატრიალებას ყირგიზეთში, უკრაინის მაიდანს – 2014-ში. ყველა ამ მოვლენას ახლა ერთი სახელი აქვს – ფერადი რევოლუციები. მაგრამ იყო ასევე არაბული გაზაფხული: ტუნისი, ეგვიპტე, იემენი, ლიბია, სირია და ალჟირი. აქ სოროსი უცვლელად რადიკალურ ისლამისტებს უჭერდა მხარს, რომლებსაც, რატომღაც, თავისუფლებისთვის მებრძოლებს ეძახდა[58]."
- „ბოლო წლებში სოროსის არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეაღწიეს ევროპაში გადაწყვეტილებების მიღების ყველა დონეზე, მათ ასევე უნგრეთის ზოგიერთი პარტიის გულში შეაღწიეს... სოროსის ჯარისკაცებს ჩვენს მაგივრად სურთ გადაწყვიტონ, რა უნდა ვაკეთოთ, როგორ ვიფიქროთ და მეტიც – რანი ვიყოთ[59]."
- „მათი მიზანია [სოროსის დაფინანსებული არასამთავრობოების] ერევანსა და მოსკოვს შორის განხეთქილება და, ცხადია, იმ პრიორიტეტების და მიმართულებების ცვლილება, რომლებიც სადღეისოდ დაისახა სომხეთმა[60]."

---

53 დმიტრი კულკო, კორესპონდენტი, 1 კანალ, ვრემია, 9 ნოემბერი https://www.1tv.ru/news/issue/2018-11-09/21:00#8

54 დმიტრი კისილიოვი, წამყვანი, როსია 24, ვესტი ნედელი, 24 ივნისი https://www.myvideo.ge/v/3622702

55 აშშ-ს უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი რესპუბლიკური პარტიიდან.

56 დმიტრი კისილიოვი, წამყვანი, როსია 24, ვესტი ნედელი, 30 სექტემბერი https://www.myvideo.ge/v/3682506 ; https://www.myvideo.ge/v/3682505

57 მიხაილ ანტონოვი, კორესპონდენტი, როსია 24, ვესტი ნედელი, 6 ივნისი. https://www.myvideo.ge/v/3608670

58 მიხაილ აკინჩენკო, კორესპონდენტი, 1 კანალ, ვოსკრესნოე ვრემია, 3 ივნისი https://www.1tv.ru/news/issue/2018-06-03/21:00#9

59 ვიქტორ ორბანი, უნგრეთის პრემიერ-მინისტრი, 1 კანალ, ვოსკრესნოე ვრემია, 3 ივნისი https://www.1tv.ru/news/issue/2018-06-03/21:00#9

60 არმან გუკასიანი, ჰუმანიტარული განვითარების საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია, როსია 24, ვესტი ნედელი, 6 მაისი. https://www.myvideo.ge/v/3588025

ნატო. ჩრდილოეთ-ატლანტიკურ ალიანსთან დაკავშირებით ნეგატიური შეფასებები ძირითადად ნატოს მტრულ ერთობად და საფრთხედ წარმოჩენას ახდენდა:

- „ის ცუდი მოგონებები, რომელთა შესახებაც სტოლტენბერგი საუბრობდა, ეს ბელგრადს დაშენილი კასეტური ბომბებია, ურანის შიგთავსის მქონე ჯავშანსაწინააღმდეგო საბრძოლო იარაღი, რომელმაც კიდევ ბევრი წლით დატოვა კვალი ონკოლოგიური დაავადებების აფეთქებების გამოწვევით. ნატოელები უტევდნენ არა მარტო სამხედრო ობიექტებს... სულ ამ „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ შედეგად რამდენიმე ათასი ადამიანი დაიღუპა. აქედან 1700 მშვიდობიანი მოსახლე და დაახლოებით 400 ბავშვი[61]“.
- „თუ ისინი მიიღებენ უკრაინას ნატოში, ჩვენ ვერ ავცდებით მესამე მსოფლიო ომს, იმიტომ, რომ ჩვენ ვხედათ უკრაინელი პოლიტიკოსების, პეტრო პოროშენკოს განცხადებებს[62]...“

ისტორიის რევიზია. ისტორიის რევიზიის შემთხვევები შემდეგ გზავნილებს შეიცავდა:

- **მეორე მსოფლიო ომის დაწყება ევროპული სახელმწიფოების პასუხისმგებლობაა:** „ამ თარიღს არ ახსენებენ [მიუნხენის შეთანხმების დადების] და თავიანთი მოსწავლეების ყურადღება გადააქვთ 1939 წლის აგვისტოს საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტზე თავდაუსხმელობის შესახებ, რომელმაც, თითქოს, მეორე მსოფლიო ომის პროვოცირება მოახდინა. მაგრამ 21-ე საუკუნიდან დროით პერსპექტივაში უკან მიხედვისას, სრულიად ნათელია, რომელი ევროპული სახელმწიფოების კისერზეა მეორე მსოფლიო ომი[63].“
- **გერმანიის გაერთიანება = ანექსიას:** „რა თქმა უნდა, ეს [გერმანიის გაერთიანება] იყო ანექსია, სხვა არაფერი. სამართლებრივი თვალსაზრისით, გაერთიანებულ გერმანიას ჯერაც არ მიუღია ახალი კონსტიტუცია... და არაფორმალური, საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით, დასავლეთი აღმოსავლეთში მოვიდა, როგორც პატრონი. სადღაც, როგორც ოკუპანტიც კი[64]“.

საზოგადოების დამოკიდებულებები რუსეთის მედიის გაშუქების მიმართ

აშშ. სირიის სამხედრო მოქმედებებში ამერიკის როლთან დაკავშირებით საზოგადოებრივი განწყობების შესასწავლად, სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის ფოკუს ჯგუფებში ექსპერიმენტი ჩავატარეთ. ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს BBC-ის სიუჟეტის ტრანსკრიპტი (იხ. დანართი 1)[65] დავურიგეთ, რომელიც სირიაში რუსეთის მიერ განხორციელებულ საჰაერო დაბომბვებს შეეხებოდა, რასაც სამოქალაქო მსხვერპლი მოჰყვა. ტრანსკრიპტში ქვეყანა იდენტიფიცირებული არ იყო, მონაწილეებს კი ვთხოვეთ, გამოტოვებულ ადგილას ჩაეწერათ ის ქვეყანა, რომელმაც, მათი აზრით, დაბომბვა განახორციელა.

პასუხების დროს განსხვავებული დამოკიდებულება გამოვლინდა როგორც რეგიონულ, ასევე ასაკოვრივ ჭრილში: გარდაბანში (36-55 – 50%, 18-35: 43,8%), ახალქალაქსა (36-55 – 40%, 18-35: 40%) და ნინოწმინდაში (36-55 – 40%, 18-35 – 33,3%) ყველაზე მაღალი იყო იმ რესპონდენტთა მაჩვენებელი, ვინც სირიაში საჰაერო დაბომბვას ამერიკის ქმედებად მიიჩნევდა. მარნეულში კი ყველაზე მაღალი იყო იმ მონაწილეთა მაჩვენებელი (36-55 – 35,7%, 18-35 – 28,6%), ვინც ამ ქმედების ავტორად რეალური ქვეყანა – რუსეთი დაასახელა. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ, სხვა ქალაქებთან შედარებით, მარნეულში ან ნაკლებად მოწყვლადები არიან

61 1 канал, ვრემია, 8 ოქტომბერი, https://www.1tv.ru/news/issue/2018-10-08/21:00#4

62 ოლეგ მუზიკა, აქციის მონაწილე, როსია 24, ვესტი სუბოტუ, 7 ივლისი https://www.myvideo.ge/v/3631229

63 დმიტრი კისილიოვი, წამყვანი, როსია 24, ვესტი ნედელი, 30 სექტემბერი. https://www.myvideo.ge/v/3682496 ; https://www.myvideo.ge/v/3682498

64 მიხაილ ანტონოვი, კორესპონდენტი, როსია 24, ვესტი, 7 ოქტომბერი https://www.myvideo.ge/v/3689482

65 BBC Russian, 2 ოქტომბერი, 2015, Кого бомбят самолеты России в Сирии [ვის ბომბავენ რუსული თვითმფრინავები სირიაში]. https://www.youtube.com/watch?v=u3tc3PorOmE

კრემლის პროპაგანდის მიმართ, ან ნაკლები წვდომა აქვთ კრემლისტურ მედიებზე. ამასთანავე, თუ მარნეულის გარდა, უფროს ასაკობრივ ჯგუფებში რუსეთი არავის დაუსახელებია, ახალგაზრდებში, ამერიკასთან შედარებით – ნაკლებად, მაგრამ დაბომბვის ავტორად რუსეთი მაინც დასახელდა (ნინოწმინდა – 20%; ახალქალაქი – 13,3%; გარდაბანი – 6,2%). აღსანიშნავია, რომ გამონაკლისს შემთხვევებში საჰაერო დაბომბვა ისრაელს (ახალქალაქი: 36-55 – 6,7%) და თურქეთს (მარნეული: 18-35 – 7,1%; ნინოწმინდა: 36-55 – 6,7%) მიეწერა.

დიაგრამა 10. საზოგადოების განწყობები სირიის კონფლიქტში აშშ-ის და რუსეთის როლის მიმართ



რესპონდენტებმა ნინოწმინდიდან და გარდაბნიდან საჰაერო თავდასხმების ავტორად აშშ-ს დასახელება ამერიკის აგრესიული საგარეო პოლიტიკით ახსნეს:

> **კაცი, ნინოწმინდა, 36-55:** *„ამერიკაში უკვე სამასი წელია, ომი არ ყოფილა. სხვა ქვეყნებში გამუდმებით ომობს და თავის ქვეყანაში არ არის ომი, სამასი წელია უკვე“.*

გამოვლინდა კორელაცია რუსული ტელელარხების დეზინფორმაციულ გზავნილებსა და რესპონდენტთა დამოკიდებულებებს შორის, რომელთა თანახმად, ე.წ. ისლამური სახელმწიფო ამერიკიდან იღებს სათავეს, ხოლო რუსეთი რეალურად ებრძვის ტერორიზმს:

მედია გაშუქება	ფოკუს ჯგუფები
როსია 24, ვესტი, 18 ოქტომბერი იგორ კოჟევინი, წამყვანი: *„ასეთია აშშ-ს ანტიტერორისტული საქმიანობის შედეგი მაშინ, როცა რუსეთი ექსტრემისტების წინააღმდეგ პრაქტიკულ ბრძოლას აგრძელებს [66]“.*	**კაცი, გარდაბანი, 18-35:** *„ამერიკა ბომბავს სახელმწიფო სირიას, ხოლო რუსეთი ეომება ისლამურ სახელმწიფოს ტერორისტულ ორგანიზაციას“.*
როსია 24, ვესტი, 18 მაისი იგორ კოჟევინი, წამყვანი: *„[სირიაში] დარჩენილი ტერორისტული დაჯგუფებები მეტ-ნაკლებად უსაფრთხოდ გრძნობენ თავს აშშ-ს კოალიციის მიერ კონტროლირებად რაიონებში[67].“*	**კაცი, გარდაბანი, 36-55:** *„ამერიკა ცხოვრობს ომით... ფაქტიურად ამით ვითარდებიან. ისლამური სახელმწიფოც მათგან მოდის“.*

[66] https://www.myvideo.ge/v/3694453
[67] https://www.myvideo.ge/v/3596486

განსხვავებული პოზიცია გამოხატეს მარნეულის ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა, სადაც უმრავლესობამ დაბომბვების ავტორად რუსეთი მისი აგრესიული პოლიტიკის გამო მიუთითა:

ქალი, მარნეული, 18-35: *„რატომღაც ამოტივტივდა რუსეთი, აგრესორთან ასოცირდება და ალბათ, ამიტომ“.*

მას შემდეგ, რაც ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა სრულად ნახეს BBC-ის მოსკოვის ბიუროს მიერ მომზადებული სიუჟეტი, რომელშიც ჩანს, რომ საჰაერო დაბომბვა რუსეთმა განახორციელა, მონაწილეთა დამოკიდებულება მკვეთრად არ შეცვლილა, რაც ზოგმა მედიის ცალმხრივი გაშუქებით ახსნა:

- **აშშ-ს ინტერესი კონფლიქტში ნავთობს უკავშირდება:** „როგორც ლიბიაში მოხდა, ეგეთი რაღაცა უნდა [ამერიკას სირიაში]. სინამდვილეში ხომ ნავთობის რაღაცეები გადის და ყველა ნავთობზეა დამოკიდებული“ (კაცი, გარდაბანი, 18-35).
- **ნატო აგრესორია:** „ნატო ჩვენი მოწინააღმდეგეა, მათი ჯარები – ჩვენს წინააღმდეგ. იქ ყველაფერი ვისწავლეთ ჩვენ, რასაც ვუყურებთ ახლა. და რაღა უნდა გავაგრძელოთ.. ვიეტნამი ვინ დაბომბა?.. იუგოსლავია ვინ დაბომბა?.. რამდენი ასეთი შეიძლება ჩამოთვალო?“ (კაცი, მარნეული, 36-55).
- **რუსეთი რეალურად ებრძვის ტერორიზმს, აშშ – სირიის ხელისუფლებას:** „რასაც ვკითხულობთ ისაა, რომ ამერიკა ბომბავს სახელმწიფო სირიას, ხოლო რუსეთი ეომება ისლამურ სახელმწიფოს ტერორისტულ ორგანიზაციას“ (კაცი, გარდაბანი, 18-35).
- **აშშ-ც და რუსეთიც თანაბრად დამნაშავეები არიან:** „მე ვფიქრობ რუსეთიც დამნაშავეა და ამერიკაც. ორივე დამნაშავეები არიან, უცხო სახელმწიფოში იბრძვიან“ (კაცი, ნინოწმინდა, 36-55).

უცხო ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა. სამცხე-ჯავახეთის ფოკუს ჯგუფის მონაწილეებში Russia Today-ს ხელმძღვანელის, მარგარიტა სიმონიანის კომენტარის განხილვა, რომელიც 2018 წლის სომხეთის რევოლუციას შეეხებოდა[68], მიზნად ისახავდა იმის გარკვევას, თუ როგორ აღიქვამდნენ სომხეთში განვითარებულ მოვლენებს ფოკუს ჯგუფის მონაწილეები და რამდენად ხედავდნენ პროცესებში უცხო ქვეყნის ჩარევას, როგორც ეს რუსული მედიის წარმომადგენლის კომენტარში იკვეთებოდა.

მარგარიტა სიმონიანი, ტელეარხი RT: *„თუ ვინმეს, იქნება ეს ნიკოლა პაშინიანი, თუ რომელიმე სხვა ლიდერი, არ ეყოფა ტვინი და ეცდება ეს ურთიერთობები გაწყვიტოს [რუსეთ-სომხეთის ურთიერთობები] და აქციოს სომხეთი ამერიკის 51, თუ უკვე 151-ე შტატად, არაფერი კარგი აქედან არ გამოვა. მე ამას განვიცდი. ყველაფერი დანარჩენი – როგორც სომეხი ხალხი გადაწყვეტს“.*

დისკუსიის დროს რესპონდენტთა აზრი ორად გაიყო. რესპონდენთა ნაწილი ახალქალაქსა და ნინოწმინდაში არა აშშ-ის როლზე, არამედ სომხეთზე რუსეთის გავლენის შესახებ საუბრობდა. მათი თქმით, რუსეთი სომხეთს მარტივად არ დათმობს.

ქალი, ახალქალაქი, 36-55: *„არ შეიძლება თქვა, რომ რუსეთის გარეშე ვერ იარსებებ, არასწორია. მე ასე არ ვთვლი“.*

კაცი, ნინოწმინდა, 18-35: *„რუსეთი ძალიან ბევრ რამეში ხელს უშლის სომხეთს, რომ ის იყოს ნორმალური ქვეყანა“.*

---

[68] 2018 წლის 12 აპრილს სომხეთში საპროტესტო აქციები დაიწყო, რასაც პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომა და ერთი თვის შემდეგ ოპოზიციის ლიდერის ნიკოლოზ პაშინიანის პრემიერ-მინისტრად არჩევა მოჰყვა.

რესპონდენტთა მეორე ნაწილის აზრით კი, სომხეთი ტრადიციულად რუსეთის მოკავშირეა, აშშ-სთან დაახლოება კი, რუსეთთან გეოგრაფიული სიახლოვის გამო, სომხეთზე შესაძლოა, როგორც უსაფრთხოების, ასევე ეკონომიკური სარგებლის კუთხით, ნეგატიურად აისახოს:

კაცი, ახალქალაქი, 18-35: *„მრავალი ათასწლეულის მანძილზე სომხები რუსეთთან მეგობრობდნენ... რუსეთი მხარს უჭერს სომხეთს, სომხები ამ ეტაპზე უსაფრთხოდ გრძნობენ თავს [რუსეთთან]".*

ქალი, ნინოწმინდა, 36-55: *„ჩვენთან საქართველოშიც და სომხეთშიც შემოსავალი რუსეთიდან მოდის, სამუშაოები და ყველაფერი, ჯერ ამერიკიდან არაფერია".*

კაცი, ნინოწმინდა, 18-35: *„თუ სომხეთის სახელმწიფო შეცვლის კურსს, იქ [რუსეთში] წავა ზეწოლები სომეხ მოსახლეობაზე".*

ქალი, ნინოწმინდა, 16-35: *„რუსეთი უფრო ახლოსაა და, თუ რამე მოხდება და რუსეთი გადაწყვეტს თავდასხმას, ამერიკა ძალიან შორსაა, რომ დაიცვას. ასე რომ, სომხეთი რუსეთის ხელშია, მეტი საფრთხეა საქართველოსთვისაც კი, ჩვენ ახლოს ვიმყოფებით".*

ამ განწყობების მიუხედავად, რესპონდენტთა ნაწილი თვლიდა, რომ კონცეფცია - რუსეთის გარეშე სომხეთი ვერ იარსებებს – უნდა გადაიხედოს.

სკრიპალების საქმე. რუსეთის ყოფილი აგენტის სერგეი სკრიპალის და მისი შვილის იულიას ქალაქ სოლსბერიში ნერვული აგენტით „ნოვიჩოკით" მოწამვლისა და საპასუხოდ დასავლური ქვეყნების მიერ რუსეთზე დაკისრებული სანქციების მიმართ ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა დამოკიდებულების შესასწავლად, რესპონდენტებს შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდათ. მათ უნდა ემსჯელათ იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი იყო აღნიშნული ინციდენტის გამო აშშ-ისა და ბრიტანეთის სანქციები რუსეთის წინააღმდეგ და ზოგადად, რამდენად უსაფრთხო ქვეყნად მიაჩნდათ რუსეთი.

სკრიპალების მოწამვლის შესახებ დისკუსიის დროს აზრი ორად გაიყო. ნაწილი ინფორმაციის სანდოობას და, შესაბამისად, რუსეთის პასუხისმგებლობას ეჭვქვეშ აყენებდა, ნაწილი კი რუსეთის მხრიდან ასეთ ქმედებას არ გამორიცხავდა. დისკუსიის დროს რესპონდენტებმა იმ ნარატივების რეფლექსია მოახდინეს, რომელთა კულტივირებასაც რუსული არხები ეწეოდნენ. კერძოდ:

- **არ არის დადასტურებული, რომ სკრიპალები რუსეთმა მოწამლა:** „მაღალჩინოსნებმა კი დააბრალეს, არ ვიცი, რამდენად სამართლიანად, მაგრამ ტექსტში არ ჩანს, რომ იყო რაღაც მტკიცებულება იმისა, რომ ეს აგენტები რუსეთის წარმომადგენლებმა მოწამლეს" (ქალი, მარნეული, 18-35).
- **სკრიპალების მოწამვლა ინგლისის ინტერესში შედიოდა და იყო პროვოკაცია რუსეთის წინააღმდეგ:** „ევროპელმა მკვლევარებმა აღმოაჩინეს ნამდვილად ბრიტანეთში ეს საწამლავი და აქ არ წერია, რომ გარდა სკრიპალებისა, კიდევ იყო მოწამლული ხალხი იქ. ეს არის ცალმხრივი ინფორმაცია" (კაცი, ნინოწმინდა, 18-35).
- **სკრიპალების მოწამვლა როგორც რუსეთის, ასევე ინგლისის სპეცსამსახურებს შეეძლოთ:** „ყველა სპეცსამსახური გააკეთებდა" (ქალი, ახალქალაქი, 36-55).
- **აშშ და ბრიტანეთი რუსეთის წინააღმდეგ სანქციისთვის მორიგ საბაბს ეძებდნენ:** „მე არ მჯერა. ეძებდნენ საბაბს მორიგი სანქციისთვის" (ქალი, ახალქალაქი, 36-55).

ამასთანავე მარნეულის ახალგაზრდების ჯგუფში გამოითქვა მოსაზრება, რომ რუსეთი საკუთარ წილ პასუხისმგებლობას ყოველთვის გაურბის და სხვაზე გადაბრალებას ცდილობს:

ქალი, მარნეული, 18-35: *„რუსეთს ერთი ის აქვს, რომ სხვა სახელმწიფოს აბრალებს ყველაფერს, მაგრამ თავის თავს არაფერში არ იდანაშაულებს. ეს არის პრობლემა“.*

იმისდა მიუხედავად, რომ აზრი ამ საკითზე ორად გაიყო, სანქციების მიზანშეწონილობა, ფაქტის რეალურობის შემთხვევაში, რესპონდენტთა უმეტესობამ გამართლებულად მიიჩნია. გამოითქვა ასევე მოსაზრებები, რომ დიდ ბრიტანეთს გაცილებით ადრე, ბერეზოვსკის შემთხვევაში უნდა მოეხდინა რეაგირება რუსეთის ქმედებებზე და რომ ერთი ადამიანის მკვლელობის მცდელობის გამო სანქციების დაწესება უსამართლო იყო:

ქალი, მარნეული, 36-55: *„ბერეზოვსკის მოწამვლისას ასე რატომ არ შეშფოთდა ინგლისი?.. იმდენად სერიოზული კითხვები იყო, იმდენად თეთრი ძაფით ნაკერი [საქმე], გასათვალისწინებელია მისი ფიგურა რუსულ პოლიტიკაში... თვალსაჩინოა, რომ ის მოკლეს. მაშინ ბრიტანეთი ამას ძალიან ცივად მიუდგა, იმიტომ, რომ რუსეთთან კონფლიქტი არ აწყობდა“.*

კაცი, მარნეული, 18-35: *„ერთი აგენტის გამო ამ სანქციის დაკისრება უსამართლობა არის“.*

რესპონდენტთა უმრავლესობა ასევე რუსეთს უფრო სახიფათო ქვეყნად მიიჩნევდა, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებს და მაგალითებად როგორც პოლიტიკური ანგარიშსწორებების მიზნით განხორციელებულ მკვლელობებს, ასევე რუსეთში არსებულ კრიმინოგენულ ვითარებას და რუსეთის მილიტარისტულ ამბიციებსა და ინტერვენციებს ასახელებდა:

კაცი, გარდაბანი, 18-35: *„მოსახლეობისთვის ყველაზე უსაფრთხო არ არის [რუსეთი], შეიძლება რაღაც აფრიკულ მხარეებთან შედარებით უსაფრთხოა, მაგრამ ისე არა“.*

ქალი, მარნეული, 18-35: *„აგენტები, რა თქმა უნდა, თუ მათ თამაშს არ თამაშობენ ისევ, საფრთხის ქვეშ არიან. ჟურნალისტების მკვლელობები. ოპოზიციის ლიდერი რომ იყო... სანაპიროზე რომ მოკლეს ერთი-ორი წლის წინ“.*

ქალი, ახალქალაქი, 18-35: *„რუსეთი არ არის უსაფრთხო არც შიგნიდან და არც გარედან“.*

ქალი, მარნეული, 36-55: *„მე მყავს 22 წლის ბიჭი. მე თვითონ ნახევრად რუსი ვარ. თუ მექნება საშუალება, გავუშვა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსტეტში ან ლონდონში, რა თქმა უნდა, გავუშვებ მას ლონდონში. იქ [რუსეთში] არის კრიმინალი, განუკითხაობა, უწესრიგობა“.*

კაცი, ახალქალაქი, 18-35: *„სამხედრო ძალა რომ აქვს, საშიშია. უნდა, რომ ლიდერი იყოს“.*

ქალი, გარდაბანი, 36-55: *„ყარაბაღი რუსეთის დახმარებით არ დაკარგეს, როგორც საქართველომ – ოსეთი და აფხაზეთი?“*

გარდაბნის ფოკუს-ჯგუფში კი, სადაც ყველაზე მაღალი იყო რუსეთის მედიის გავლენა, რუსეთის ქმედებებს ამერიკის და ნატოს პოლიტიკით ამართლებდნენ, რაც კრემლს მის საზღვრებთან პოზიციების გამყარებისკენ უბიძგებდა:

ქალი, გარდაბანი, 36-55: *„რუსეთი იცავს თავის საზღვრებს და ამიტომ იპყრობს იმ სახელმწიფოებს, რომ რუსეთის საზღვრებთან არ მივიდნენ ამერიკული ჯარები“.*

ქალი, გარდაბანი, 36-55: *„თუ, მაგალითად, საქართველო შევა ნატოში და ისინი [ნატო] აქ მოიყვანენ თავის ჯარებს, ეს რა თქმა უნდა, ცუდად იმოქმედებს ესენგეზე“.*

მგრძნობელობა და დამოკიდებულებები ყალბი ინფორმაციის მიმართ

ყალბი ინფორმაციის მიმართ რესპონდენტთა მგრძნობელობისა და დამოკიდებულებების დასადგენად, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს აშშ-ს, ევროკავშირის, ნატოს, ჯორჯ სოროსისა და სხვა საკითხების შესახებ დაიჯესტი დაურიგდათ, რომელშიც რეალური ინფორმაცია და ყალბი ამბები იყო შერეული. მონაწილეებს უნდა მოეხდინათ ყალბი ინფორმაციის იდენტიფიცირება, რის შემდეგაც გაიმართა დისკუსია იმაზე, თუ რა კრიტერიუმების საფუძველზე შეაფასეს მიწოდებული ინფორმაცია ნამდვილი იყო, თუ ყალბი.

ყალბი ინფორმაცია	რეალური ინფორმაცია
ამერიკა ახლო აღმოსავლეთში ტერორისტებს უჭერს მხარს, რათა ნავთობის რესურსები მოიპოვოს	ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში ყოველწლიურად წერს საქართველოში მუსლიმთა რელიგიური უფლებების ხელყოფის ფაქტებზე და ინციდენტების გამოძიების აუცილებლობაზე
ამერიკული ლაბორატორია საქართველოში ეპიდემიების გავრცელებას უწყობს ხელს	ჯორჯ სოროსის დაფინანსებით მოხდა გაქრობის პირას მდგომი ხის მეჩეთების კვლევა და ფოტოდოკუმენტირება, ასევე გამოიცა აჭარის ხის მეჩეთების კატალოგი
ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს სირიელი ლტოლვილების მიღებას ავალდებულებს	რუსული ბაზარი უფრო სტაბილურია, ვიდრე ევროკავშირის
თუ საქართველო NATO-ში გაწევრიანდება, თურქეთის ჯარი საქართველოს ტერიტორიას დაიკავებს და ბაზები სამცხე-ჯავახეთში განთავსდება	ასადმა ქიმიური იარაღი გამოიყენა
2020 წელს ყარსის ხელშეკრულებას ვადა გასდის და თურქეთი აჭარას დაიბრუნებს	დასავლური სამყარო იცავს ეთნიკურ, ეროვნულ იდენტობას
	ევროკავშირი ხელს უწყობს საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებას;
	ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში ყოველწლიურად წერს სომხეთის სამოციქულო ეკლესიისთვის საკულტო ნაგებობების დაბრუნების შესახებ;
	20%-ით გაიზარდა ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში, დსთ-ის ქვეყნების წილი მთლიან სავაჭრო კალათაში მცირდება

საერთო მონაცემები. ყალბი ინფორმაციის ნუსხიდან ყველაზე დამაჯერებელი რესპონდენტებისთვის ის დეზინფორმაცია აღმოჩნდა, რომლის თანახმად, ამერიკა ახლო აღმოსავლეთში ტერორისტებს უჭერს მხარს, რათა ნავთობის რესურსები მოიპოვოს (79,7%), რაც კორელაციაშია რუსული ტელევიზიების ნარატივთან, რომელიც ამერიკის აგრესიულ პოლიტიკასა და ტერორიზმთან კავშირზე ამახვილებს ყურადღებას. ლუგარის ლაბორატორიის შესახებ გავრცელებული ყალბი ცნობების სანდოობა, თითქოს, ამერიკული ლაბორატორია საქართველოში ეპიდემიების წყაროა, დამაჯერებელი რესპონდენტთა 59,4%-ისთვის აღმოჩნდა

და ყალბი მხოლოდ 40,6%-ისთვის. ლუგარის ლაბორატორიის მსგავსად, იდენტური იყო რესპონდენტთა მხრიდან იმ მოსაზრების აღქმა, რომლის თანახმადაც რუსული ბაზარი უფრო სტაბილურია, ვიდრე ევროკავშირის (სიმართლე – 59,4%, სიცრუე – 40,6%). რესპონდენტთა ნახევარზე მეტმა ასევე სანდოდ მიიჩნია ცრუ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ევროკავშირი საქართველოს სირიელი ლტოლვილების მიღებას ავალდებულებს (56,2%). კონსპირაცია იმის შესახებ, რომ ნატოში ინტეგრირების შემთხვევაში, საქართველოში თურქეთის ჯარის ინტერვენცია მოხდება, დამაჯერებელი რესპონდენტთა 45,3%-ისთვის აღმოჩნდა, ხოლო ყალბი – 54,7%-ისთვის. ყველაზე ნაკლებად სარწმუნო კი რესპონდენტებისთვის ის კონსპირაცია აღმოჩნდა, რომლის თანახმადაც, 2020 წელს ყარსის ხელშეკრულებას ვადა გასდის, რასაც შედეგად თურქეთის მიერ აჭარის დაბრუნება მოჰყვება (სიმართლე – 31,2%, ტყუილი – 68,8%).

დიაგრამა 11. ყალბი ინფორმაციის აღქმა და დამოკიდებულებები



როგორც დიაგრამა 12-ზე ჩანს, რეალური ფაქტებიდან ყველაზე ნაკლებ დამაჯერებელი ეთნიკური აზერბაიჯანლებით კომპაქტურად დასახლებული ქვემო ქართლის რესპონდენტებისთვის ის ინფორმაცია იყო, რომელიც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში მათი რელიგიური უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს (სიმართლე – 50%; ტყუილი – 50%) და ჯორჯ სოროსის დაფინანსებით მუსლიმთა კულტურული და რელიგიური თვითმყოფადობის ძეგლების დაცვას შეეხება (სიმართლე – 46,9%; ტყუილი – 53,1%). ამავე დროს ეთნიკური სომხებით კომპაქტურად დასახლებული სამცხე-ჯავახეთის რესპონდენტებისთვის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში ყოველწლიურად წერს სომხეთის სამოციქულო ეკლესიისთვის საკულტო ნაგებობების დაბრუნების პრობლემაზე, უფრო სარწმუნო აღმოჩნდა (სიმართლე – 81,2%, ტყუილი – 18,8%). რესპონდენტთა ყველაზე დიდი რაოდენობისთვის დამაჯერებელი აღმოჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში 20%-ით გაიზარდა, ხოლო დსთ-ის ქვეყნების წილი მთლიან სავაჭრო კალათაში მცირდება (სიმართლე – 84,4%, ტყუილი – 15,6%).

დიაგრამა 12. რეალური ინფორმაციის აღქმა და დამოკიდებულებები



ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჯორჯ სოროსის დაფინანსებით გაქრობის პირას მდგომი ხის მეჩეთების კვლევა და ფოტოდოკუმენტირება მოხდა, ყველაზე ნაკლებად დამაჯერებელი მარნეულისა და გარდაბნის უფროსი ასაკის ჯგუფებისთვის აღმოჩნდა, რომლებიც სოროსის ინტერესებს მხოლოდ დემოკრატიულ და რევოლუციურ პროცესებში ხედავდნენ:

ქალი, გარდაბანი, 36-55: *„ჯორჯ სოროსი არ დახარჯავს თანხებს მუსლიმურ მეჩეთებზე, რადგან ხარჯავს დემოკრატიასა და რევოლუციაზე“.*

კაცი, გარდაბანი, 36-55: *„სოროსს პრინციპში შეუძლია, დახარჯოს ფული მუსლიმების ინტერესებისთვის საქართველოში, თუ ისევ პოლიტიკურ საქმეებს ემსახურება, მხოლოდ თავისთვის მუსლიმებისგან“.*

ქვემო ქართლის იმ რესპონდენტებმა, ვინც თვლის, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში მუსლიმთა რელიგიური უფლებების ასახვა არარეალურია, თავისი მოსაზრება ნაწილობრივ იმით ახსნეს, რომ მუსლიმ თემს საქართველოში პრობლემები არ გააჩნია, ნაწილმა კი ამერიკის ხელისუფლების მხრიდან მუსლიმთა უფლებების დაცვა უბრალოდ დაუჯერებლად მიიჩნია და ყურადღება შიიტებისადმი მათ პოლიტიკაზე და სირიის მოვლენებზე გაამახვილა:

კაცი, გარდაბანი, 18-35: *„უბრალოდ, შეუძლებელია, რომ ასე იყოს. ამერიკა ითხოვს საქართველოსგან, რომ მოქალაქე მუსულმანები კარგად ცხოვრობდნენ საქართველოში - მე ამის არ მჯერა, არალოგიკურია“.*

კაცი, მარნეული, 36-55: *„[ამერიკელები] აბუჩად გვიგდებენ... აი, ჩვენ ორნი ვმუშაობთ სამხედრო სამსახურში, თქვენ სუნიტი ხართ, მე შიიტი. ისინი [ამერიკელები] იმის გამო, რომ მე შიიტი ვარ, არ დამტოვებენ სამსახურში. ამერიკელები აიძულებენ საქართველოს, რომ შიიტები სამსახურში არ გაიჩერონ და სუნიტების დატოვება სამსახურში შესაძლებელი იყოს... სუნიტები – თურქეთი, შიიტები-ირანი“.*

ქალი, გარდაბანი, 36-55: *„რუსეთი უკეთ იცნობს მუსლიმურ სამყაროს, ვიდრე ამერიკა, მაგალითად, ამერიკამ ხომ სირიაზე დაიწყო თავდასხმა და რუსეთმა – დაცვა“.*

სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური სომხების ჯგუფში გაცილებით მეტმა რესპონდენტმა მიიჩნია სანდოდ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ყოველწლიურ ანგარიშში სომეხთა საკულტო ნაგებობების პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას, თუმცა რესპონდენტთა მცირე ნაწილმა ეს ცნობა იმ მოსაზრების გამო არ მიიჩნია სანდოდ, რომ ამერიკა საქართველოს წინააღმდეგ არ წავიდოდა. ერთ-ერთმა მონაწილემ კი ეს საკითხი საქართველოს ნატოში გაწევრიანების ინტერესსაც კი დაუკავშირა:

კაცი, ახალქალაქი, 18-35: *„არ მჯერა, რომ ამერიკა საქართველოს წინააღმდეგ წავა“.*

კაცი, ახალქალაქი, 18-35: *„არ ვიცი, სად და როდის მოხდა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ამერიკა არ წავა საქართველოს წინააღმდეგ. ამერიკას უნდა, რომ საქართველო შევიდეს ნატოში, სომხეთს კი არ უნდა“.*

მონაცემები რეგიონულ ჭრილში. რიჩარდ ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებული დეზინფორმაცია ყველაზე მეტი რესპონდენტისთვის დამაჯერებელი ახალქალაქსა (68,7%) და მარნეულში (56,2%) აღმოჩნდა, ყველაზე ნაკლებად სარწმუნო კი – ნინოწმინდასა (12,5%) და გარდაბანიში (12,5%).

კაცი, მარნეული, 36-55: *„დიახ, (ვეთანხმები) ერთი ასეთი მარნეულშია და კიდევ 20-ია, მგონი“.*

ქალი, მარნეული, 16-35: *„არ ვეთანხმები, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ჩამოდიან და ტრენინგებზე საუბრობენ, რომ არ გავრცელდეს [ეს ამბავი] და ამას რატომ იზამდნენ?“*

კონსპირაცია, რომ ამერიკა, ნავთობის რესურსების მოპოვების მიზნით, ახლო აღმოსავლეთში ტერორისტებს უჭერს მხარს, ყველა რეგიონში რესპონდენტთა უმრავლესობისთვის სარწმუნო აღმოჩნდა, თუმცა, გარდაბანში ამ მოსაზრებას უპირობოდ ყველა მონაწილე იზიარებდა (100%).

კაცი, ნინოწმინდა, 36-55: *„ჩვენ ვცხოვრობთ აქ, თურქები ან რუსები რომ მოვიდნენ და გვითხრან - თქვენ აქედან წადით, ახლა ჩვენ აქ ვიცხოვრებთ – ეს ხომ არასამართლიანი იქნება?! იგივეა სირიაში, იქ მივიდნენ ამერიკელები და უთხრეს, წადითო“.*

ქალი, მარნეული, 18-35: *„იმ ადამიანს აქვს რაღაც ინტერესი, გეხმარება, იმიტომ, რომ ნავთობი უნდა. მერე რომ განადგურებს, შენ რა მოტივაცია გაქვს, რომ იმისგან იღებ დახმარებას, თუ იცი, რომ უნდა განადგურდე?“*

კაცი, ნინიწმინდა, 18-35: *„საფრანგეთში არსებობს სკოლა, ისინი თავად ქმნიან ამ ტერორისტებს, ვინ არიან ისინი? ისინი ფულს იხდიან და შავ საქმეს ესენი აკეთებენ“.*

დიაგრამა 13. აშშ-სთან დაკავშირებული ყალბი ინფორმაციის აღქმა და დამოკიდებულებები ქალაქების მიხედვით



ევროკავშირთან დაკავშირებით გავრცელებული დეზინფორმაციებიდან სირიელი ლტოლვილების მიღების ვალდებულება და მოსაზრება, რომ რუსული ბაზარი უფრო სტაბილურია, ვიდრე ევროკავშირის, ყველაზე მეტი რესპონდენტისთვის სარწმუნო ნინოწმინდის ფოკუს ჯგუფში (93,7%) აღმოჩნდა. ევროკავშირის ბაზრის უპირატესობაზე ძირითადად მარნეულის ფოკუს ჯგუფის მონაწილეები საუბრობდნენ, მაშინ, როცა რუსული ბაზრის სტაბილურობაზე მოსაზრებები ყველაზე მეტად ნინოწმინდასა და გარდაბანში გამოითქვა:

კაცი, გარდაბანი, 36-55; ქალი ნინოწმინდა, 36-55: *„რუსული უფრო სტაბილურია“.*

კაცი (მარნეული) 18-35: *„ჩემი აზრით, ევროპული ბაზარი ჯობია რუსულს. ევროკავშირში ყველაფერი სტანდარტებზე არის დამოკიდებული. უფრო სუფთა და უფრო ორგანული ის არის“.*

ქალი, მარნეული, 36-55: *„რა თქმა უნდა, არა რუსული. რუსული რუბლი ყოველდღე იაფდება“.*

აღსანიშნავია, რომ მარნეულის ფოკუს ჯგუფის მონაწილეები უფრო მეტად იყვნენ ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა სარგებელი მოაქვს ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობას საქართველოსთვის და რომ ეს შესაძლებლობა რუსეთში პროდუქციის ექსპორტს ამცირებს:

ქალი, მარნეული, 18-35: *„ველარ გააქვთ და აღარც გააქვთ [რუსეთში]. დასავლეთი იხსნება“.*

სირიელი ლტოლვილების მიღების ვალდებულება სარწმუნოდ ყველაზე ნაკლებმა რესპონდენტმა გარდაბ-ნის ჯგუფში (31,2%) მიიჩნია.

კაცი, მარნეული 18-35: *„არ ვარ დარწმუნებული. თვითონ თავად აქვთ ეს პრობლემა“.*

რესპონდენტთა ნაწილმა კი ასეთი შესაძლებლობა არ გამორიცხა.

ქალი, ახალქალაქი, 16-35: *„შეიძლება გამოგონილია, შეიძლება არა, სადან უნდა ვიცოდე“.*

დიაგრამა 14. ევროკავშირთან დაკავშირებული ყალბი ინფორმაციის აღქმა და დამოკიდებულებები ქალაქების მიხედვით



კონსპირაციას იმის შესახებ, რომ 2020 წელს ყარსის ხელშეკრულებას ვადა გასდის და თურქეთი აჭარას დაიბრუნებს, ყველაზე მეტი რესპონდენტი სარწმუნოდ ნინოწმინდაში მიიჩნევდა (68,7%), ყველაზე ნაკლები კი – გარდაბანში (6,2%). იმ რესპონდენტთა რწმენა, ვისაც ეს ინფორმაცია დამაჯერებლად მიაჩნდა, არა ხელ-შეკრულების პირობებს, არამედ თურქებისადმი ზოგად დამოკიდებულებას ეფუძნებოდა:

კაცი, ნინოწმინდა, 18-35: *„არაც და კიც. არა ყარსის შეთანხმების გამო, არამედ რეალურად, იმიტომ, რომ იქ [აჭარაში] რომ ვიყავი, ძალიან ცოტა ქართველი იყო მასპინძელი, ყველგან თურქები არიან და თითქოს საკუთარი იქ არაფერია დარჩენილი“.*

კაცი, ნინოწმინდა, 36-55: *„მთავარია, რომ არ იყვნენ თურქები“.*

დიაგრამა 15. თურქეთთან და NATO-სთან დაკავშირებული ყალბი ინფორმაციის აღქმა და დამოკიდებულებები ქალაქების მიხედვით



საქართველოს NATO-ში გაწევრიანების შემთხვევაში, სამცხე-ჯავახეთში თურქეთის ჯარის განთავსების შესაძლებლობა ყველაზე მეტად დამაჯერებელი ნინოწმინდაში (56,2%), ახალქალაქსა (50%) და გარდაბანში (50%), ხოლო ყველაზე ნაკლებად კი მარნეულში (25%) აღმოჩნდა.

კაცი, ნინოწმინდა, 18-35: *„დავუშვებ იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილმა თავის ინტერვიუში, როცა მოვიდა საქართველოში, გაგვაფრთხილა ამის შესახებ. მან ზუსტად ასე თქვა – სამცხე-ჯავახეთში იქნებიან თურქი ჯარისკაცები. მე შემიძლია ისიც გითხრათ, რომ გაზეთი საქართველო [ვრასტან] წერდა ამის შესახებ“.*

ქალი, ნინოწმინდა, 36-55: *„აქ რკინიგზა გაიყვანეს, მიწები აიღეს და რამდენიმეს ფულიც კი არ გადაუხადეს, ყველაფერი შეუძლიათ გააკეთონ ამ თურქებმა... ჩემს მიწაზე რკინიგზა გადის, ჩემთვის უნდა მოეცათ 1500 ლარი და დღევანდელ დღემდე არ მოუციათ. ამიტომაც, ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.*

დანართი 1.

გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ქვეყანა

------- утверждает, что целю авиации являются объекты так называемого Исламского Государства. Но в самой Сирии результат действия ------ расходится с ее словами. В среду утром два ------ самолета, летевших на большой высоте, выпустили ракеты по городу Сирии. На видео, снятом, видны разрушенные здания и люди, отчаянно пытающиеся вызволить раненых и тела убитых из-под завалов. По словам местных жителей, в этом месте проводили встречу городского совета отвечающего за распределение хлеба.

III. საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაარსობრივი ვალდებულებები, საზოგადოების განწყობები და გაშუქება

3.1. საკანონმდებლო შინაარსობრივი ვალდებულებები

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ერთადერთი ტელეარხია, რომელსაც, როგორც საჯარო დაფინანსებით მოქმედ, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულ ინსტიტუციას, კანონმდებლობით განსაზღვრული შემდეგი შინაარსობრივი ვალდებულებები აკისრია:

- „უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია;“[69]
- „სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები[70]“.

მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტები. მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „სამეურვეო საბჭო განსაზღვრავს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებს **საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებების, მათ შორის, ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის**, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების, საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების, მაუწყებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით“.

აღსანიშნავია, რომ კვლევის დაწყების პერიოდში (2018 წლის 1 მაისს) სამეურვეო საბჭოს მიერ 2015 წლის 10 ივლისს დამტკიცებული 2015-2016 წლების პროგრამული პრიორიტეტები[71] მოქმედებდა. 2018 წლის 17 აგვისტოდან კი 2018-2021 წლის პროგრამული პრიორიტეტები დამტკიცდა და ამოქმედდა.[72]

ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან და ამ საკითხებზე უმცირესობების ინფორმირებასთან დაკავშირებით, 2015-2016 წლის პროგრამულ პრიორიტეტებში ჩანაწერს 3 მიმართულებით ვხვდებით:

1. **ახალი ამბები და მიმდინარე მოვლენები:** ე) საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების/პროცესების ასახვა.

---

69 საქართველოს პარლამენტი, 23 დეკემბერი, 2004. „საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ“, მუხლი 16, ნ) https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=49

70 იქვე. მუხლი 16. მ)

71 იმის გათვალისწინებით, რომ 2016 წლიდან 2018 წლის 17 აგვისტომდე ახალი დოკუმენტი არ მიღებულა, 2015-2016 წლებისათვის შემუშავებული დოკუმენტის მოქმედება 2018 წლის 20 აგვისტომდე გაგრძელდა. საზოგადოებრივი მაუწყებელი (2015), საზოგადოებრივი მაუწყებლის 2015-2016 წლების პროგრამული პრიორიტეტები https://cdn.1tv.ge/app/uploads/2017/10/hjkhjkhjk-1508151107.pdf

72 საზოგადოებრივი მაუწყებელი (2018), საზოგადოებრივი მაუწყებლის 2018-2021 წლების პროგრამული პრიორიტეტები. https://cdn.1tv.ge/app/uploads/2018/08/Download-File-1534504689.pdf

2. **პოლიტიკურ-ანალიტიკური გადაცემები:** ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისთანავე პროგრამების ძირითადი ნაწილის თარგმნა ეთნიკური უმცირესობების ენებზე;
3. **ისტორიულ-პუბლიცისტურ გადაცემებში** ქართულ-ევროპული დიალოგის ისტორიის ასახვა.

2018-2021 წლის პროგრამულ პრიორიტეტებში მაუწყებლის შინაარსობრივ ერთ-ერთ პრიორიტეტად, ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკისა და სხვა შესაბამისი თემატიკის პროდუქციის შემთხვევაში, ისეთი საკითხების გაშუქებაა განსაზღვრული, როგორიცაა:

„**გ) საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები/პროცესები:** ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობები, ქვეყნის განვითარებაზე დასავლეთთან ინტეგრაციის დადებითი გავლენა, ასოცირების ხელშეკრულებით მიღებული შესაძლებლობები, სხვა.“

წინა წლების დოკუმენტისაგან განსხვავებით, 2018-2021 წლის პროგრამულ პრიორიტეტებში ყურადღება გამახვილებულია, ერთი მხრივ, ჰიბრიდული ომის გამოწვევებზე და ყალბი ინფორმაციის თავიდან აცილების აუცილებლობაზე, ასევე სპეციფიკური საჭიროებების აუდიტორიისთვის საყოველთაო მომსახურების უზრუნველყოფის აუცილებლობაზე:

„**ჰიბრიდული ომის** ვითარებაში მაუწყებელმა ყველა საჭირო ზომა უნდა მიიღოს ყალბი ინფორმაციის გავრცელების თავიდან ასაცილებლად; ამავე დროს უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის ინფორმირება აღნიშნული პრობლემის შესახებ[73]“.

„**საყოველთაო მომსახურება:** მრავალფეროვანი აუდიტორიის, მათ შორის სპეციფიკური საჭიროებების მქონე აუდიტორიის მომსახურება. ამ მიზნით პროდუქცია და ხარჯები უნდა განაწილდეს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მომსახურებისთვის, მათ შორის ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების, შშმ პირების, რეგიონის მოსახლეობის მომსახურებისთვის“.

თუ წინა პროგრამულ პრიორიტეტებში საქმიანობის შეფასების კრიტერეიუმები საერთოდ არ იყო მითითებული, ახალ დოკუმენტში „საქმიანობის შეფასების საზომები“ ჩნდება და მითითებულია, რომ მაუწყებლის საქმიანობის შეფასება, აღნიშნულ საზომებზე დაყრდნობით, მინიმუმ წელიწადში ერთხელ, კვლევებსა და რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით მოხდება. ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა „ხარისხი, მრავალფეროვნება და ზეგავლენა“ ქულებით ფასდება. ამასთანავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროგრამული პრიორიტეტების შესრულების შესაფასებლად სამეურვეო საბჭო სხვადასხვა კვლევებს გამოიყენებს.

ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე უმცირესობების ინფორმირების მიმართულებით სამეურვეო საბჭოს მიერ განსაზღვრული პროგრამული პრიორიტეტების შესრულების შეფასების 2 ძირითადი პრობლემა იკვეთება:

1. **სამიზნე აუდიტორიის დაფარვა:** როგორც „ინფორმაციის წყაროების“ თავში აღინიშნა, რეიტინგების გამზომავი კომპანიის გეოგრაფიულ არეალში უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონები არ შედის. სწორედ ამ გარემოებით ხსნის მაუწყებლის გენერალური დირექტორი MDF-ისთვის მოწერილ წერილში იმ გარემოებას, რომ მათ ინფორმაცია სამიზნე აუდიტორიაში მათთვის განკუთვნილი გადაცემების ყურებადობის შესახებ არ მოეპოვებათ: „მონაცემები რეგიონებისთვის არის ერთიანი და არა ცალ-ცალკე ქალაქის, რეგიონის ან ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მიხედვით[74]“.

---

[73] 4- გვ. 2

[74] საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის ვასილ მაღლაფერიძის წერილი მედიის განვითარების ფონდს, 29 ნოემბერი, 2018.

შესაბამისად, მაუწყებელს არ აქვს რეგულარული ინფორმაცია, თუ რამდენად მიუწვდებათ უმცირესობებს ხელი მათთვის განკუთვნილ გადაცემებზე და როგორია ამ გადაცემების რეიტინგი აღნიშულ რეგიონებში.

2. **პროგრამული პრიორიტეტების შეფასების კრიტერიუმები და ანგარიშგება:** არც 2018-2021 წლის პროგრამული პრიორიტეტები და არც ადრე მოქმედი 2015-2016 წლების არ ითვალისწინებს შეფასების კრიტერიუმებს პროგრამული პრიორიტეტების მიხედვით, იქნება ეს რაოდენობრივი, თუ თვისებრივი მონაცემები. შესაბამისად, მაუწყებლის მენეჯმენტის მიერ სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენილი როგორც მე-2 კვარტლის[75], ასევე მე-3 კვარტლის[76] ანგარიშები არ მოიცავს ინფორმაციას, თუ რამდენად და როგორ შესრულდა შესაბამისი შინაარსობრივი პრიორიტეტი (ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირება) და ძირითადად ასახავს საანგარიშო პერიოდში მომზადებული გადაცემების რაოდენობას, სიახლეებსა თუ ცალკეული სამსახურების საქმიანობას. მე-3 კვარტლის ანგარიში ასევე არ ასახავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გააკეთა მაუწყებელმა ყალბი ინფორმაციისა და ჰიბრიდული გამოწვევების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისთვის, როგორც ეს 2018-2021 წლების პროგრამულ პრიორიტეტებშია განსაზღვრული.

იმის დასაზუსტებლად, თუ რამდენად სრულდება როგორც კანონით, ასევე პროგრამული პრიორიტეტებით განსაზღვრული შინაარსობრივი ვალდებულებები ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხების პოპულარიზაციის და ამ თემატიკაზე უმცირესობების ინფორმირების შესახებ, ინფორმაცია დამატებით საზოგადოებრივი მაუწყებლიდან გამოვითხოვეთ. მიღებული პასუხის თანახმად[77], საანგარიშო პერიოდში აღნიშნული თემები შემდეგ გადაცემებში შუქდებოდა:

პირველი არხი	„მოამბე“ „ახალი კვირა“ „42-ე პარალელი“ „ვაშინგტონი დღეს“ (ამერიკის ხმა) „ხანმოკლე მეოცე საუკუნე“
საქართველოს რადიო	საინფორმაციო გამოშვებები „ღია სტუდია“ „საღამოს პიკის სააათი“ „ამერიკის ხმის“ გადაცემა

ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის საკითხებზე უმცირესობების მათთვის გასაგებ ენებზე ინფორმირების კუთხით კი, მიწოდებულ ინფორმაციაში შემდეგი გადაცემები და პლატფორმებია მითითებული:

- პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო[78]“, რომელიც აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ონლაინ-რადიო და ინტერნეტ-ტელევიზიაა. მაუწყებლის ინფორმაციით, ონლაინ-რადიო პირდაპირ ეთერში 1tv.ge-ზე 12 საათიანი უწყვეტი ეთერით მაუწყებლობს;
- „მოამბე“ აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, რომელიც, მულტიმედიური საშუალებით, პირდაპირ ეთერში 19:00 სთ-ზე გადის;
- ახალი ამბების თარგმანი აფხაზურ, აზერბაიჯანულ, ოსურ, რუსულ და სომხურ ენებზე ხელმისაწვდომია 1tv.ge-ზე;
- აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით, პირველი არხის დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვების „მოამბის“ თარგმნა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე და სეტ ტოპ ბოქსებით, ასევე ონლაინ გავრცელება[79].

[75] საზოგადოებრივი მაუწყებლის ანგარიში, მეორე კვარტალი, 2018წ https://bit.ly/2SnOaPm
[76] სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ანგარიში, მესამე კვარტალი, 2018წ https://bit.ly/2Eafqfi
[77] 28 სექტემბერი, 2018.
[78] https://1tv.ge/show/mravalferovani-saqartvelo/?tab=overview
[79] https://bit.ly/2lyHuhH

- ნამდვილი დრო (Настоящее Время) – პირველი არხის ეთერში ახალი ამბების რუსულენოვანი სატელევიზიო გადაცემაა, რომელიც „რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლებისა“ და „ამერიკის ხმის“ ერთობლივი პროექტია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეთნიკური უმცირესობების ენებზე საინფორმაციო გადაცემების მეორე არხზე ტრანსლირება საზოგადოებრივ მაუწყებელზე 2017 წლის ზაფხულში შეწყდა და 2018 წლის ოქტომბერში განახლდა, თუმცა რამდენად რეგულარულად ხდება მათი ეთერში განთავსება, რთული სათქმელია, ვინაიდან მეორე არხის სატელევიზიო ბადეში ეს გადაცემები ყოველთვის არ იძებნება. ასევე რთული აღმოჩნდა იმის გადამოწმება, თუ რამდენად რეგულარულად გადის პირდაპირ ეთერში პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“ და სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე „მოამბის“ თარგმანი მულტიმედიური საშუალებებით. ყოველივე ეს ეთნიკური უმცირესობების მათ ენაზე ინფორმირების მხრივ არსებული პოლიტიკის არათანმიმდევრულობაზე მიანიშნებს.

3.2. საზოგადოების მოლოდინები

ფოკუს ჯგუფებში საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემებთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიკვეთა. ცალკეულმა რესპონდენტებმა გადაცემების მიღების ტექნიკურ პრობლემაზე გაამახვილეს ყურადღება:

კაცი, ნინოწმინდა, 18-35 წ: *„ჩვენთან არ იჭერს, ჩვენ მხოლოდ სატელიტური ანტენები გვაქვს და არ იჭერს“.*

რესპონდენტთა ნაწილმა იმის მიზეზად, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემებს თვალყურს არ ადევნებს, ენობრივი ბარიერი დაასახელა:

ქალი, გარადაბანი, 36-55: *„ბევრი მე ვიცი, რომ არ უყურებს და არც უსმენს, რადგან ქართული ენა არ იცის, მაგრამ მათ, ვინც იცის ქართული, მათთვის საინტერესოა“.*

სამცხე-ჯავახეთის რესპონდენტთა ნაწილმა კი აღნიშნა, რომ ან საერთოდ არ უყურებდა, ან არარეგულარულად ეცნობოდა სომხურენოვან გადაცემებს:

ქალი, ახალქალაქი, 36-55: *„ადრე იყო... მოამბე იყო სომხურ ენაზე. ადრე ვუყურებდი“.*

ქალი, ნინოწმინდა, 36-55: *„ზოგჯერ ვუყურებ“.*

რესპონდენტებმა ასევე ყურადღება გაამახვილეს იმ გარემოებაზე, რომ მაუწყებლის გადაცემებში საკუთარი თავის და პრობლემების იდენტიფიცირებას ვერ ახდენდნენ და მოწოდებული ინფორმაცია მხოლოდ მიმდინარე მოვლენების ქართულიდან თარგმანს წარმოადგენდა:

ქალი, მარნეული, 18-35: *„ვუყურებ, მაგრამ, ჩემი აზრით, არანაირი პრობლემა არ შუქდება იქ. არის ასეთი პროგრამა „მრავალფეროვანი საქართველო“, არის რაღაც გასართობი გადაცემა. ამერიკის საელჩოს და საზოგადოებრივი არხის პროგრამაა, მგონი... და კიდევ არის ახალი ამბები. მაგრამ ახალი ამბები, იცით, რა არის? საქართველოში რა ხდება, იმას თარგმნიან და ეგ არის“.*

კაცი, მარნეული, 18-35: *„საერთოდ, თემს არ ეხება“.*

ინფორმაციის მიღების ალტერნატიულ წყაროდ ერთმა მონაწილემ რუსული ტელეარხები (კაცი, მარნეული, 36-55), ერთმა კი კომუნიკაციის არაფორმალური არხი – ჩაიხანა – დაასახელა:

კაცი, გარდაბანი 18-35: *„ჩაიხანაში შედიხარ და იქ ყველაფერს იგებ“.*

3.3. მედია გაშუქება

საერთო რაოდენობრივი მონაცემები. ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო და ანალიტიკური გადაცემების („მოამბე“, „ახალი კვირა“, „42 პარალელი“), ასევე თოქ-შოუებისა („კვირის ინტერვიუ“, „აქტუალური თემა“ მაკა ცინცაძესთან ერთად, „მოამბე“ – დღის თემა) და ნაწილობრივ წინასაარჩევნო დებატების მონიტორინგმა თემატური მრავალფეროვნების მხრივ შემდეგი ტენდენციები გამოავლინა: ყველაზე მეტი დრო აღნიშნულ გადაცემებში ევროკავშირს (35,2%) დაეთმო, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები (22,4%), საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვადასხვა თანამშრომლობის ფორმატები (14,1%), საერთაშორისო სასამართლოები (10,9%) და ჩრდილოატლანტიკური ალიანსი – ნატო (10,7%) მოსდევენ. შედარებით მცირედით იყო წარმოდგენილი მასალები დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნების (2,4%), დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობების (2,2%) და ზოგადად, დასავლეთის (2,1%) შესახებ.

დიაგრამა 16. ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან და დასავლეთთან დაკავშირებული თემატიკა (1 არხი)



როგორც დიაგრამა 17-ზე ჩანს, აღნიშნული თემატიკა მეტწილად პირდაპირ შუქდებოდა, ხოლო ირიბი გაშუქების ხვედრითი წილი შედარებით მცირე იყო.

დიაგრამა 17. ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან და დასავლეთთან დაკავშირებული თემატიკის პირდაპირი და ირიბი გაშუქება (1 არხი)



აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან დაკავშირებული გაშუქება (10,9%) მეტწილად რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ საქართველოს მოქალაქეთა სამართლებრივი დავების გაშუქებას (95,2%), ნაწილობრივ კი ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეებს (4.8%) შეეხებოდა.

დიაგრამა 18. საერთაშორისო სასამართლოებთან დაკავშირებული თემატიკა



საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და კონფლიქტების საკითხი ფართოდ იყო წარმოდგენილი როგორც ევროკავშირის, ასევე ამერიკის და სხვადასხვა დასავლური ინსტიტუტების თემატიკის გაშუქების დროსაც.

მონაცემები გადაცემების მიხედვით. თუ ყოველდღიური საინფორმაციო გადაცემა „მოამბის“ (43,8%) დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში, ასევე კვირის შემაჯამებელ გადაცემაში „ახალ კვირა“ (39,9%) ყველაზე მეტი დრო ევროკავშირის თემატიკას დაეთმო, საერთაშორისო საკითხებზე ყოველკვირეული გადაცემა „42 პარალელი“ ყველაზე მეტ დროს ამერიკის შეერთებულ შტატებს უთმობდა (41,8%).

დიაგრამა 19. ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან და დასავლეთთან დაკავშირებული თემატიკა საინფორმაციო და ანალიტიკურ გადაცემებში



თოქ-შოუებსა და წინასაარჩევნო დებატებში, სადაც ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხები ირიბად იყო წარმოდგენილი, ძირითადად რესპონდენტთა კომენტარებში, დომინირებდა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და თანამშრომლობის ფორმატების თემა („კვირის ინტერვიუ“ – 55,5%; „მოამბე“ – დღის თემა – 53,5%), ასევე საერთაშორისო სასამართლოების საკითხი, რომელიც მეწტილად რუსულ ოკუპაციასთან დაკავშირებული სარჩელების განხილვას შეეხებოდა (წინასაარჩევნო დებატები – 42,9%; „აქტუალური თემა“ მაკა ცინცაძესთან ერთად – 37,4%).

დიაგრამა 20. ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან და დასავლეთთან დაკავშირებული თემატიკა თოქ-შოუებსა და წინასაარჩევნო დებატებში (1 არხი)



გაშუქების ტონალობა

მოამბე და ახალი კვირა. ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხები დღის მთავარ საინფორმაციო გადაცემაში „მოამბე“ და კვირის შემაჯამებელ გადაცემაში „ახალ კვირა“, პირდაპირი გაშუქებისას, მეტწილად ნეიტრალურად ან პოზიტიურად იყო წარმოდგენილი. ნეგატიური გაშუქების მცირე მაჩვენებელი (1,6%) საერთაშორისო ორგანიზაციებს (საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი – IRI[80] და Freedom House[81]) უკავშირდებოდა, სადაც მმართველი პარტიის – „ქართული ოცნების“ კრიტიკა ამ ორგანიზაციების მიმართ ცალმხრივად იყო წარმოდგენილი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მცირედი ნეგატიური ტონი მხოლოდ იმ საკითხებს უკავშირდება, რასაც შიდაპოლიტიკური განზომილება აქვს და მმართველ პოლიტიკურ გუნდს უკავშირდება.

80 მოამბე, 8 ივნისი, 2018. შეხვედრა IRI-ის წარმომადგენლები. https://www.myvideo.ge/v/3610209&rc=1
81 მოამბე, 16 მაისი, Freedom House-ის განმარტება. 2018. https://www.myvideo.ge/?video_id=3593562

დიაგრამა 21. ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან და დასავლეთთან დაკავშირებული თემატიკის პირდაპირი გაშუქების ტონები (მოამბე, ახალი კვირა)



ირიბი გაშუქების დროს ნეგატიური ტონი ნატოს მიმართ (12,7%) წინასაარჩევნო პერიოდში საინფორმაციო გადაცემა „მოამბის“ ფორმატში პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის მიხეილ გელა სალუაშვილის სტუდიური ჩართვისას გაკეთებულ კომენტარებს[82] და „პატრიოტთა ალიანსის“ წევრის ადა მარშანიას პარლამენტში გაკეთებულ შეფასებას[83] უკავშირდება.

დიაგრამა 22. ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან და დასავლეთთან დაკავშირებული თემატიკის ირიბი გაშუქების ტონები (მოამბე, ახალი კვირა)



82 „მოამბე“, 16 ოქტომბერი, 2018. საპრეზიდენტო არჩევნები 2018
https: //www.myvideo.ge/?video_id=3693143; https://www.myvideo.ge/?video_id=3693140

83 „მოამბე“, 13 ივლისი, 2018. მთავრობის განახლებული შემადგენლობა პარლამენტში.
https://1tv.ge/video/mtavrobis-ganakhlebuli-shemadgenloba-parlamentshi/

42 პარალელი. საერთაშორისო საკითხებზე ყოველკვირეული ანალიტიკური გადაცემა „42 პარალელი“, რომელიც მონიტორინგის პერიოდში სატელევიო ეთერში არარეგულარულად გადიოდა და ზოგჯერ სოციალური ქსელით ავრცელებდა ვიდეო სიუჟეტებს, სხვა გადაცემებისგან განსხვავებით, დასავლეთის ქვეყნების და ინსტიტუტების გაშუქების მკვეთრად ნეგატიური ტონით გამოირჩეოდა. გადაცემის სარედაქციო პოლიტიკა ძირითადად ნეოლიბერალური ეკონომიკის მიმართ იდეოლოგიურ მიუღებლობას ეფუძნებოდა, რაც პოლიტიკური პროცესების შეფასებისას ავტორთა პოზიციას განსაზღვრავდა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ უშუალოდ მონიტორინგის წინა პერიოდში, რუსეთის ყოფილი აგენტის სერგეი სკრიპალის და მისი ქალიშვილის მოწამვლასთან, ასევე სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით დასავლეთის სანქციებთან მიმართებით „42 პარალელის“ რედაქციის პოზიცია, რომ დასავლეთი მტკიცებულებების გარეშე მოქმედებდა კრემლისტური პოლიტიკური პარტიის – „პატრიოტთა ალიანსის“ და რუსეთის ხელისუფლებისა და მედია საშუალებების პოზიციებთან იყო თანხვედრაში[84].

მონიტორინგის პერიოდში „42 პარალელში“ პირდაპირი გაშუქებისას ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონით საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა იყო წარმოჩენილი (100%). რედაქციის კრიტიკა სავალუტო ფონდს, როგორც ეკონომიკური კრიზისების გამომწვევს[85] და გაეროს უშიშროების საბჭოს[86], კერძოდ, ვეტოს უფლების არაეფექტიანობას უკავშირდებოდა. მაღალი იყო ასევე ევროკავშირის მიმართ ნეგატიური ტონიც (41.3%), რასაც რამდენიმე სიუჟეტი დაეთმო. ძირითადად ვითარდებოდა მოსაზრება, რომ ევროკავშირმა ევროპის ერთიანობის იდეას უღალატა და სისტემურ კრიზისშია, რის ერთ-ერთ ილუსტრაციად საბერძნეთის ეკონომიკური კრიზისი იყო მოყვანილი[87]. აღნიშნულ გადაცემაში „42 პარალელმა“ საბერძნეთის ეკონომიკური კრიზისი მთლიანად ევროკავშირის და ევროპული ინსტიტუტების პოლიტიკის შედეგად წარმოაჩინა ისე, რომ ავტორმა აუდიტორიას არ მიაწოდა ინფორმაცია საბერძნეთის დიდი ოდენობით საბიუჯეტო ხარჯვების, პროტექციონისტული ეკონომიკის, გადასახადების დამალვისა და სხვა სტრუქტურული პრობლემების შესახებ, რამაც რეალურად საბერძნეთი ეკონომიკურ კრიზისამდე მიიყვანა[88]:

> **მათე გაბიცინაშვილი, ავტორი:** „სწორედ მაასტრიხტის ხელშეკრულებით განსაზღვრული ინსტიტუციური მოწყობაა დღევანდელი ევროზონის სისტემური კრიზისის ძირითადი მიზეზი. მაასტრიხტის ხელშეკრულებამ შექმნა ევროკავშირის ერთიანი მონეტარული კავშირი, მაგრამ ბოლომდე ვერ მოახერხა შეექმნა ერთიანი პოლიტიკური კავშირი... **ამის შედეგია ის, რომ, მაგალითად, საბერძნეთში დემოკრატიულად მოსულმა ხელისუფლებამ ორგზის არჩევნებსა და რეფერენდუმში გამარჯვების შემდეგაც კი ვერანაირად ვერ მოახერხა ტროიკისგან და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან თავსმოხვეული, გამანადგურებელი ქამრების შემოჭერის პოლიტიკის შეცვლა...** თუ რამდენად დამანგრეველი აღმოჩნდა ამ ზეწოლის შედეგად გატარებული პოლიტიკა, არაერთხელ გინახავთ ტელევიზიით – ათენის გადამწვარი ქუჩები, გაბრაზებული მოსახლეობის პოლიციასთან შეტაკებები და **ეკონომიკური სისტემის კოლაფსი**“.

დასავლეთის მიმართ ნეგატიური ტონი (21,4%) გადაცემაში „თანასწორობის იდეის ნგრევას“ და „ელიტების უპირატესობის“ თემატიკას უკავშირდებოდა[89], ხოლო ამერიკის (9,1%) მიმართ – ნიკარაგუაში რეიგანის ადმი-

---

84 მითების დეტექტორი, 24 აპრილი, 2018. „საზოგადოებრივი მაუწყებლის „42-ე პარალელი“ და პატრიოტთა ალიანსი კრემლისტურ გზავნილებს ახმოვანებენ“. https://bit.ly/2SVJlwp

85 „42 პარალელი“, 15 აგვისტო, 2018. კოკა-კოლა თუ პეპსი?. https://1tv.ge/video/42-paraleli-koka-kola-tu-pepsi/

86 „42 პარალელი“, 22 სექტემბერი, 2018. „თავისუფალი ვეტო“ ანუ მაიმუნი ბარდათი. https://1tv.ge/video/42-paraleli-tavisufali-veto-anu-maimuni-bardati/

87 „42 პარალელი“, 5 მაისი. https://www.myvideo.ge/v/3586000

88 მითების დეტექტორი, 11 მაისი, 2018. „42-ე პარალელი“ საბერძნეთის ეკონომიკურ კრიზისს ევროპულ ინსტიტუტებს აბრალებს“. https://bit.ly/2U4fkg1

89 „42 პარალელი“, 29 სექტემბერი, თანამედროვე პოლიტიკის კრიზისი. https://1tv.ge/video/42-paraleli-tanamedrove-politikis-krizisi/

ნისტრაციის როლს[90] და ირანის საკითხს[91], როდესაც ჟურნალისტი ირანის მიერ ბირთვული პროგრამის დაწ-ყების გამართლებას ქვეყნის გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენებით ცდილობდა:

შოთა თხელიძე, ავტორი: „ტრამპის კონფრონტაციული რიტორიკა და შეთანხმების დატოვება ისე, რომ ირანს მასში გაწერილი მოვალეობებისთვის თავი არ აურიდებია, თეირანში ვაშინგტონის მიმართ ნდობას ამცირებს და მინიმალურ დონემდე დაჰყავს ახალი, ორმხრივი მოლაპარაკებების შესაძლებ-ლობა“.

შოთა თხელიძე, ავტორი: „ამერიკული ჯარის ერაყიდან გასვლის შემდეგ ქვეყანაში შექმნილი პო-ლიტიკური ვაკუუმი ირანმა შეავსო და ერაყის პოლიტიკური ელიტა ირანულ ორბიტაზე გადაიყვანა. სირიის კონფლიქტში შექმნილი სამხედრო ვაკუუმიც ირანის სამხედრო შენაერთებმა შეავსეს და ის-ტორიული მოკავშირის – ასადის რეჟიმის შენარჩუნებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. სირიის ომმავე გამოიწვია ლიბანში ირანის მიერ მხარდაჭერილი შიიტური სამხედრო პოლიტიკური მოძრა-ობა „ჰეზბოლას“ გაძლიერებაც“.

დიაგრამა 23. ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან და დასავლეთთან დაკავშირებული თემატიკის პირდაპირი გაშუქების ტონები (42 პარალელი)



42 პარალელის შემთხვევაში საკმაოდ მაღალი იყო ნეგატიური ტონი ირიბი გაშუქების დროსაც, როგორც ევ-როკავშირის (64,5%), ასევე ამერიკის (62,5%) და სხვა ქვეყნების (61,7%) მიმართ.

[90] „42 პარალელი“, 20 ოქტომბერი, დემონსტრაციები ნიკარაგუაში – დანიელ ორტეგას მმართველობის ტრანსფორმაცია. https://1tv.ge/video/42-paraleli-demonstraciebi-nikaraguashi-daniel-ortegas-mmartvelobis-transfomracia/

[91] „42 პარალელი“, 23 მაისი, ირანის ბირთვული შეთანხმების მომავალი. https://1tv.ge/video/42-paraleli-iranis-birtvuli-shetankhmebis-momavali/

დიაგრამა 24. ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან და დასავლეთთან დაკავშირებული თემატიკის ირიბი გაშუქების ტონები (42 პარალელი)



წინასაარჩევნო დებატები. საპრეზინდეტო არჩევნების წინ გამართულ წინასაარჩევნო დებატებში ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონი ამერიკის (92,4%) მიმართ გამოვლინდა. თითქმის თანაბარი იყო, როგორც პოზიტიური (48%), ასევე ნეგატიური (43,5%) ტონი ნატოს მიმართ, ყველაზე მცირე ნეგატიური (1,9%) ტონი კი ევროკავშირის მიმართ გამოვლინდა.

საპრეზიდენტო კანდიდატების მხრიდან ხდებოდა აზრის დამკვიდრება, რომ ნატო ვერ მოაგვარებს საქართველოს კონფლიქტებს, ის არ არის უსაფრთხოების გარანტი. ნატოს მიმართ სკეპტიციზმის გაღვივების პარალელურად კი ალტერნატივად ნეიტრალიტეტისა და რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის ამოცანის დასახვა ხდებოდა:

კახა კუკავა, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი: „ფაქტია, რომ ნატო ვერ არის ჩვენი უსაფრთხოების გარანტი... ჩვენ უნდა ვუთხრათ სიმართლე ჩვენს ხალხს, საქართველო ვერც ნატოს წევრი გახდება და ვერც მიუახლოვდება ნატოს[92].“

კახაბერ ჭიჭინაძე, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი: „ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში გვეკეტება ჩვენ ყველანაირი ურთიერთობა სხვა მეზობელ ქვეყნებთან, რომლებთაგანაც შეგვიძლია რაღაც შევისყიდოთ, რაღაც იარაღი ან მოდერნიზაცია ჩავატაროთ ჩვენი შეიარაღების[93].“

ნინო ბურჯანაძე, დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო: „... არის თუ არა თქვენი მთავარი მიზანი და სურვილი ნატოში შესვლა? არც ერთი ადამიანი არ იყო, რომელიც აიწევდა ხელს და ვეუბნებოდი: გვჭირდება თუ არა ჩვენ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება? და აბსოლუტური უმრავლესობა ადამიანებისა ამბობდა, რომ კი, ჩვენ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება გვჭირდება[94].“

92 პრეზიდენტის არჩევნები 2018, 26 ოქტომბერი. https://1tv.ge/video/archevnebi2018-debatebi2018-davit-usufashvili-kakha-kukava-da-levan-chkheidze-live/

93 პრეზიდენტის არჩევნები 2018, 12 ოქტომბერი. https://www.myvideo.ge/v/3691351

94 პრეზიდენტის არჩევნები 2018, 8 ნოემბერი https://www.myvideo.ge/v/3707676

დიაგრამა 25. ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან და დასავლეთთან დაკავშირებული თემატიკის ირიბი გაშუქების ტონები (წინასაარჩევნო დებატები)



თოქ-შოუები. თოქ-შოუებში „კვირის ინტერვიუ“ და „მოამბე – დღის მთავარი თემა“ ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხების ირიბი გაშუქება ძირითადად ნეიტრალური იყო, ხოლო გადაცემაში „აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“ ნეგატიურ ტონს ძირითადად ნატოსთან მიმართებით (17%) „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლის მხრიდან ვხვდებით.

ადა მარშანია, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი: „სამწუხაროდ, ვერ ხედავს ჩვენი უმაღლესი ხელისუფლება საფრთხეებს, ვერ ხედავს, რა გველის ამ გზაზე, ნატოსკენ მიმავალ გზაზე. რამდენად არის ეს ჩვენთვის სასარგებლო, რამდენად ხელს უწყობს ეს ქვეყნის გამთლიანებას, ამაზე არ არის ფიქრი[95]“.

დიაგრამა 26. ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან და დასავლეთთან დაკავშირებული თემატიკის ირიბი გაშუქების ტონები (აქტუალური თემატიკა მაკა ცინცაძესთან ერთად)



95 „აქტუალური თემა“ მაკა ცინცაძესთან ერთად, 2 მაისი, https://www.myvideo.ge/v/3583413

IV. რეკომენდაციები

კვლევით ორგანიზაციებს

- უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების საინფორმაციო ველის სრულფასოვნად და სისტემატურად შესასწავლად, მნიშვნელოვანია, გადაიხედოს სატელევიზიო რეიტინგების გაზომვის საკვლევი პანელი და მასში აისახოს აღნიშნულ რეგიონებში არსებული სატელევიზიო გარემო, რომელზეც გავლენას სახელმწიფო საკომუნიკაციო ენის არცოდნა ახდენს.
- ეთნიკური უმცირესობების შესახებ ერთიანად გენერირებული მონაცემების ნაცვლად, უმჯობესია, კვლევითმა ორგანიზაციებმა სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში არსებულ მედია მოხმარების გარემოზე რეგიონულ ჭრილში ჩაშლილი მონაცემები წარმოადგინონ, რაც აუდიტორიის ინფორმაციის წყაროებისა და მედია ჩვევების უკეთ გაანალიზების შესაძლებლობას შექმნის.

ხელისუფლებას, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს

- იმის გათვალისწინებით, რომ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ინფორმაციის არაფორმალური წყაროების ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალია (41%), მნიშვნელოვანია ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან პირისპირ კომუნიკაციის ეფექტიანი ფორმატების შემუშავება და დანერგვა, ხოლო კომუნიკატორებად იმ პირების განსაზღვრა, ვისაც საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენა შეუძლია.
- უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში რუსული არხების ხელმისაწვდომობისა და აუდიტორიაზე გავლენის გამო, რასაც ფოკუს ჯგუფების მონაცემებიც ადასტურებს, ხელისუფლებამ რეგიონზე მორგებული კომუნიკაციის სტრატეგია უნდა შეიმუშაოს. აღნიშნული სტრატეგია, როგორც დეზინფორმაციაზე რეაგირებას, ასევე პოზიტიური დღის წესრიგის განსაზღვრას უნდა უზრუნველყოფდეს.
- დეზინფორმაციაზე მყისიერი რეაგირება თანმიმდევრული გზავნილების შემუშავებას და, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე ეფექტიან კომუნიკაციას უნდა ითვალისწინებდეს, განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ ადგილობრივ მოსახლეობას ეხება.
- პოზიტიური დღის წესრიგის კომუნიკაცია ევროატლანტიკური ინტეგრაციით მიღებულ სარგებლეზე უნდა იყოს ორიენტირებული და იმ უიმედობის დაძლევას უწყობდეს, რომელიც მიზანმიმართულად ამკვიდრებს მოსაზრებას, რომ დასავლეთი კარგია, მაგრამ საქართველოს მოსახლეობისთვის მიუწვდომელია. ასეთი კამპანიები ფოკუსირებული უნდა იყოს არა აბსტრაქტულ შესაძლებლობებზე, არამედ წარმატებულ მაგალითებზე: 1) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობით; 2) ბალტიის ქვეყნების გამოცდილების გაზიარებით, რომლებთანაც საერთო პოსტ-საბჭოთა იდენტობა გვაკავშირებს და რომლებმაც წარმატებით დაიმკვიდრეს თავი ევროატლანტიკურ სივრცეში.
- ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს როგორც სახელმწიფო ენის, ასევე ინგლისურის და სხვა დასავლური ენების შემსწავლელი პროგრამების ეფექტიან განხორციელებას.

- მედია და ინფორმაციული წიგნიერება სასკოლო კურიკულუმში არა მხოლოდ გამჭოლი კომპეტენცია უნდა იყოს, არამედ სავალდებულო საგნად იქცეს, რაც კრიტიკული აზროვნების და მედიის პასუხისმგებლიანი მოხმარების უნარების განვითარებას ადრეული ასაკიდანვე შეუწყობს ხელს. ხელისუფლებამ ამ მიმართულებით უნდა ითანამშრომლოს არასამთავრობო სექტორთან და გამოიყენოს ის რესურსები და გამოცდილება, რომელიც საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს აქვთ.

მედია საშუალებებს, არასამთავრობო და პროფესიულ ორგანიზაციებს

- იმისთვის, რომ დაიძლიოს უმცირესობების გაუცხოება ნაციონალური ტელეარხების მიმართ, მნიშვნელოვანია, ამ ადამიანებმა მედია კონტენტში საკუთარი თავის იდენტიფიცირება მოახდინონ. ინკლუზიური გაშუქება კი სამიზნე ჯგუფებში მედია საშუალებების სანდოობის გაზრდას შეუწყობს ხელს, რაც, შესაბამისად, ევროინტეგრაციის საკითხების გაშუქებისადმი ინტერესსაც გაზრდის. ამასთანავე, მნიშვნელოვანია პროგრამული მრავალფეროვნების უზრუნველყოფა, რაც ადგილობრივ არხებს აუდიტორიისთვის უფრო მიმზიდველს გახდის.
- მნიშვნელოვანია ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რათა მედია მხოლოდ პოლიტიკის საკითხების ზედაპირული ასახვით არ შემოიფარგლოს, არამედ აუდიტორიას დაანახოს, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს პოლიტიკის საკითხებმა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე ან სამომავლო პერსპექტივაზე.
- მედია მენეჯერებმა და მედიის პროფესიულმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ მედია პროდუქციის ხარისხის ამაღლებასა და გადმოცემის ფორმების გაუმჯობესებაზე, რაც არა მხოლოდ ტრენინგებით, არამედ გაცვლითი პროგრამებითა და გამოცდილების გაზიარებით უნდა განხორციელდეს.
- იმისათვის, რომ ამ რეგიონების მოქალაქეები უფრო მგრძნობიარენი გახდნენ ყალბი ინფორმაციის მიმართ და ასეთის იდენტიფიცირება მოახდინონ, საჭიროა, მედიას, არასამთავრობო და პროფესიულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა. მედიაწიგნიერების პროგრამების საგანმანათლებლო კომპონენტის განხორციელების პარალელურად, აუცილებელია ყალბი ინფორმაციის იდენტიფიცირების მეთოდებსა და ხერხებზე ცნობიერების ამაღლების კამპანია, რაც, როგორც ტრადიციული, ასევე სოციალური მედიითაც უნდა განხორციელდეს.
- იმის გათვალისწინებით, რომ ფოკუს ჯგუფების მონაწილეები, ერთი მხრივ, აცნობიერებენ, რომ რუსული სოციალური ქსელები არასანდოა, ხოლო ტრადიციული მედია და ფეისბუკი – უფრო სანდო, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, მედიაწიგნიერების კამპანიების ფოკუსირება იმ რისკების ჩვენებაზე, რაც არასანდო ინფორმაციის გავრცელებას თან სდევს, მეორე მხრივ, ადვოკატირება, რომ ხელისფლებამ ინგლისური და სხვა დასავლური ენების შემსწავალელი პროგრამები ეფექტიანად განახორციელოს.

საზოგადოებრივ მაუწყებელს

- საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სამიზნე აუდიტორიის უმცირესობების ენებზე ინფორმირება რეგულარულად უნდა უზრუნველყოს, ამასთანავე მას მრავალფეროვანი პროგრამები შესთავაზოს.
- ჰიბრიდული ომის გამოწვევების გათვალისწინებით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საზოგადოებას უნდა შესთავაზოს ისეთი გადაცემები და პროგრამები, რომლებიც მედია და ინფორმაციულ წიგნიერებას და ყალბი ინფორმაციის იდენტიფიცირების უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს.
- აუდიტორიის საჭიროებების კვლევა პროგრამების ხელმისაწვდომობის შესწავლას და ხარისხის გაუმჯობესებას უნდა უწყობდეს ხელს.
- სამეურვეო საბჭომ უნდა შეიმუშაოს ისეთი კრიტერიუმები, რაც შესაძლებელს გახდის შინაარსობრივი პროგრამული პრიორიტეტების შესრულების შეფასებას. მაუწყებლის მენეჯმენტის ყოველკვარტალური ანგარიშგება სწორედ ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს.